

# ბათუმის უნივერსიტეტი



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №5, მაისი, 2011.

## აზერბაიჯანის დღე უნივერსიტეტში

აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს ინიციატივით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აზერბაიჯანის დღე აღინიშნა. აზერ-



ბაიჯანის საერთო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის დაბადების 88 წლისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის 20 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე, ქალაქ ბათუმის მერი რობერტ

ჩხაიძე, აჭარის განათლებისა და კულტურის მინისტრი ვია აბულაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი დონარი სურმანიძე, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. აზერბაიჯანის დღე უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ გახსნა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურმა კონსულმა ბათუმში ჰუსეინ ნაჯაფოვმა მოხსენება წაკითხა თემაზე: „აზერბაიჯანი: ისტორია და თანამედროვეობა“, და ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება.

აზერბაიჯანის დღის ფარგლებში გაიხსნა ჰეიდარ ალიევის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა. ასევე შედგა დოკუმენტური ფილმის „როცა ვსაუბრობთ აზერბაიჯანზე“, ჩვენება. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურმა საკონსულომ „ჰეიდარ ალიევის წიგნადი ფონდი“, დაარსა.

## 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

საქართველოს ეროვნული დღესასწაული შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე ღონისძიებით აღინიშნა. ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო სესია. მომხსენებლებმა სახელმწიფოებრიობის აღდგენის ისტორიაზე, ტრაპიზონის კონფერენციაზე, ამ დროს ბათუმში განვითარებულ მოვლენებსა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის როლზე ისაუბრეს. აგრარული ტექნოლოგიებისა



და ეკოლოგიის ფაკულტეტმა ღირსშესანიშნავ თარიღს ორდღიანი, სტუდენტთა V სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნა. ღონისძიებები სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ფოტოგამოფენით დასრულდა.

## სტუდენტური „უნივერსიადა - 2011“



საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად 3 მაისიდან 10 ივნისის ჩათვლით „უნივერსიადა - 2011“-ს ატარებს. სტუდენტურ შეჯიბრში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოცდაათი

სტუდენტი მონაწილეობს. ახალგაზრდები შესაძლებლობებს სპორტის ათ სახეობაში წარმოაჩენენ. ესენია: მაგიდის ჩოგბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ქართული ჭიდაობა, კრივი, ქუჩის კალათბურთი (სტრიტბოლი), მძლეოსნობა, ჭადრაკი, მკლავჭიდი. 8 მაისს გამართულ მაგიდის ჩოგბურთის შეჯიბრში რსუ-ს გოგონათა გუნდის წევრებმა ნონა მარქარიანი და მაია ბარამიძემ II-III საპრიზო ადგილები დაიკავეს და თასითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. „უნივერსიადა - 2011“, -ის შედეგების მიხედვით სპორტის 20-მდე სახეობაში საქართველოს სტუდენტური ნაკრები გუნდები შეირჩევა, რომლებიც 12-25 აგვისტოს ჩინეთის მსოფლიო უნივერსიადაში მიიღებენ მონაწილეობას.

## მემორანდუმი აპარსვალდეს მდგრადი განვითარების უმაღლეს სასწავლებელთან

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს სამდღიანი, საპასუხო ვიზიტით გერმანიის ბრანდენბურგის ფედერალური მინისტრის დელეგაცია ეწვია. ვიზიტი ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს. რსუ-ს რექტორმა,



პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და ებერსვალდეს მდგრადი განვითარების უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდენტმა, პროფესორმა ვილჰელმ-გიუნტერ ვარსონმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს. ხელშეკრულების თანახმად განხორციელდება პროფესორ-მასწავლებლების, მკვლევარების, ბაკალავრებისა და მაგისტრების ერთობლივი გაცვლითი პროგრამები, ჩატარდება ერთობლივი კონფერენციები და სემინარები. მხარეები ასევე სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის ურთიერთგაცვლაზე, საგანმანათლებლო და კვლევითი მენეჯმენტის გამოცდილების გაზიარებასა და ბიბლიოთეკის ონლაინ-რეჟიმში გამოყენებაზე შეთანხმდნენ. დელეგაციის წევრები აჭარის ა.რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მიხეილ მახარაძესა და ქალაქ ბათუმის მერს რობერტ ჩხაიძეს შეხვდებიან. სტუმრები ასევე ბათუმის სამშენებლო ობიექტებსა და ლირშესანიშნაობებს დაათვალიერებენ. დელეგაციის შემადგენლობაში არიან:

• პავლე შპეტინივილი - ბრანდენბურგი-საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე პოტსდამში;

• იენს ლიპსდორფი - ბრანდენბურგის ფედერალური მინისტრის პარლამენტის წევრი, მეცნიერების, კვლევისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თავისუფალ დემოკრატთა პარტიის (FDP) წევრი;

• ვილჰელმ - გიუნტერ ვარსონი - პროფესორი, ებერსვალდეს მდგრადი განვითარების უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდენტი.

## ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი

ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის დელეგაცია საქმიანი ვიზიტით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. დელეგაციის წევრები უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ალიოშა ბაკურიძესა და საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტების ხელმძღვანელებს შეხვდნენ. ვიზიტისას დაიგეგმა ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელება, კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება. მხარეებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი უახლოეს მომავალში მოეწერება.



## ამერიკელი მედიასტრატეგები ქართული მედიის შესახებ

ჯეიმს თრენგრუვი ამერიკელი მედიასტრატეგისტია. დამთავრებული აქვს ჰარვარდის უნივერსიტეტი კომუნიკაციის განხრით. აქვს სამაუწყებლო მედიაში მუშაობის 35 წლიანი გამოცდილება, აქედან 25 წელი ამერიკის საზოგადოებრივ მაუწყებელზე. იგი ამზადებდა საინფორმაციო გამოშვებებს, დოკუმენტურ პროგრამებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დებატებსა და თოქ-შოუებს. არის მრავალი პრიზის მქონე ტელეჟურნალისტი. 1985-1987 წლებში მუშაობდა ლამის ამბების პროდიუსერად „ჩიკაგო თუნაითში“, რომლის დროს გადაცემა

ორჯერ მიიღო „ემის“ პრიზი, როგორც ჩიკაგოს მონიანე საზოგადოებრივმა პროგრამამ. თრენგრუვიმ ჩამოაყალიბა მედია კომპანია „The Barnaby Woods Group“; დანერგა დებატების ნოვატორული სატელევიზიო პროგრამა, რომელიც რეგიონულ და საერთაშორისო საკითხებს განიხილავდა. შექმნა მულტილოკაციის ფორმატი, გრაფიკა და დიზაინი აუდიტორიის მონაწილეობით. „ADA Majlis“ ახლა მთელს აზერბაიჯანში გადაიცემა, ასევე ირანში, თურქეთში, რუსეთში. მედია სტრატეგი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივით ჩამოვიდა საქართველოში. იგი 2 კვირის განმავლობაში სწავლობდა სამაუწყებლო მედიას, ეცნობოდა ნაციონალური არხების საინფორმაციო პოლიტიკასა და მუშაობის სტილს. მედია რეალობის შესწავლის შემდეგ იგი არსებული რეალობის შესახებ ამერიკის საელჩოს ანგარიშს წარუდგინა და მედია საშუალებებს რეკომენდაციებს გაუწევს. მედიასტრატეგთან ინტერვიუს უძღვევა







# ჩემიონები თუ თაღლითები? – თაგაზოგან თუ არა ჭადრაკს მიკროყურსასმენებით?

ალბათ, ყველა დამეთანხმებით, 21-ე საუკუნეში, როგორც ძალისმიერი სპორტის სახეობაა წარმოდგენილი მედიცინის გარეშე, ასევეა ჭადრაკი კომპიუტერის გარეშე. ამიტომაც, შევეცდებით, ანალიზი გავუკეთოთ, თუ როგორ იმოქმედა ტექნოლოგიების განვითარებამ მეფეების თამაშზე.

დადებითი მხარეები: მოჭადრაკე ინტერნეტში ჩართული კომპიუტერის საშუალებით ეცნობა საჭადრაკო სიახლეებს; ინტერნეტის საშუალებით თამაშობს ჭადრაკს; სხვადასხვა საჭადრაკო პროგრამებით არჩევს პარტიებს, დებიუტებსა და მისთვის საინტერესო პოზიციებს; ნახულობს მეტოქის პარტიებს და ა. შ. „გაკომპიუტერინაციაში“, სულ რაღაც 9-10 წლის წინათ, მასსოვს, ტურნირების საქალაქო დეგებში ვიქტებოდი და ამ გზით ვემზადებოდი მეტოქესთან სათამაშოდ. დებიუტებს წიგნების საშუალებით ვსწავლობდი, რაც ხარისხთან, თანხებთან და დროის ზედმეტ ხარჯვასთან იყო დაკავშირებული. კომპიუტერით გამარტივდა მომზადება, დედებს აღარ უნდოდა საათობით ქალაქებში „ქექვა“, და პარტიების გადაწერა. მაგრამ რამდენადაც გამარტივდა ყველაფერი, მით უფრო მეტად გაართულდა კიდევ. დღეს აღარ არის ის ჭადრაკი, პარტის დროს, დებიუტში რომ იფიქრო და რაიმე სასიკეთო მოიფიქრო, თუ კომპიუტერთან არ გაქვს გარჩეული ვარიანტები, 70 პროცენტით მაინც მარცხისთვის ხარ განწირული (რა თქმა

უნდა, საუბარია პროფესიულ ჭადრაკზე). საფრთხეები: თამაშის დროს მობილურით კარნახი რომ ხდებოდა (შესაძლოა ახლაც ხდება, რადგან სათანადო კონტროლი არ არის, მხოლოდ მოჭადრაკეების სინდისს ვეყრდნობით) ყველასათვის ცნობილია. ასევე ხდებოდა ტელეფონებში ჩატვირთული საჭადრაკო პროგრამების მოშველიება, თუმცა, ამაზე საუბარი არც ღირს, რადგან ეს „მამაპაპური“, ხერხები „დრომოჭმულია“. ამჟამად, ზოგიერთი დიდოსტატის „დიდოსტატური“, მიგნება წმინდი ყურსასმენები, რომლის „წყალობით“, კომპიუტერის მიერ მოფიქრებული სვლებით, „დიდოსტატურად“, თამაშობენ, ნერვიულობისა და წვალების გარეშე. მიკრო ყურსასმენები გამოცდებისთვის გამოიგონეს, თუმცა, თავისუფლად შეიძლება, ის მოჭადრაკეებზე გამოიყენოს. როგორც კი, ძიებაში „მიკრო ნაუშნიკ“-ს ჩავენერო, ამოიყრება უამრავი საიტი, სადაც მიკროყურსასმენების შესახებ ინფორმაცია დაწვრილებითაა მოცემული.

ყურსასმენებით როგორ? 6 მმ-იანი ყურსასმენი ისე თავსდება ყურის ნიჟარაში, რომ გარედან არ ჩანს, რადგან მცირე ზომასთან ერთად, ის კანისფერია. მიკროყურსასმენთან ერთად, საჭიროა გამაძლიერებელი და ტელეფონის მსგავსი აპარატი, რომელსაც „ბლუთუსის“, მხარდაჭერა აქვს. გამაძლიერებელი შეიძლება მოჭადრაკეს ედოს ჩანთაში, ან ტანზე ჰქონდეს მიმაგრებული. ასევე შეიძლება დარბაზში მჯდომ თანამზრახველს ჰქონდეს თან, რომელიც სათამაშო ზონასთან 20-30 მეტრის რადიუსში იმყოფება. ყურსასმენში საუკეთესო სვლებს გადასცემს კომპიუტერთან მყოფი ადამიანი, რომელიც პარტიის მსვლელობის განმავლობაში, პოზიციას კომპიუტერზე არჩევს. თუ პარტია ინტერნეტის საშუალებით გადაიცემა, ამ შემთხვევაში საჭირო აღარ არის მიკროვიდეოკამერა, რომელიც ისეთი პატარაა, რომ მისი ჩამოტყაფება ღილში ან სანერ კალამშიც შეიძლება, ასეთი ვიდეოკამერის ფასი სულ

რაღაც 50 დოლარიდან იწყება. ეს ინფორმაცია მარტივად, პირველივე მცდელობისთანავე ინტერნეტის საშუალებით მოვიპოვე. რა თქმა უნდა, არსებობს უფრო დახვეწილი საშუალებები. საინტერესო ფაქტსაც წავაწყდი – საზღვარგარეთ გამოცდაზე მისულ აბიტურიენტს, მიკროვიდეოკამერა თაბაშირში ჩასმულ ხელზე ჰქონდა დამონტაჟებული.

რა შემთხვევაში მიმართავს მოჭადრაკე მსგავს არასპორტულ საქციელს? ფსიქოლოგიური ახსნა – გამარჯვების უნით შეპყრობილი მოჭადრაკის უკან, სამწუხაროდ, ხშირად დგანან ზედმეტად „მონდომებული“, მშობლები, რაც ასეთი დანაშაულის მიზეზი ხდება. მიკროყურსასმენებს, ძირითადად, მე-5 ტურის შემდეგ მიმართავენ, მანამდე შეიძლება ნააგონ კიდევაც, რადგან ეჭვი არავის გაუჩნდეს. მოკლედ, ყველაფერი გათვლილია, ამიტომ ეჭვიმტანილის მარცხი ნუ დაგამშვიდებთ.

სამწუხაროდ, ამ ყველაფერს ხელს უწყობს საზოგადოებაც, რომელიც სხვის სინდისს ზედმეტად ენდობა ან ეშინია ინტრიგანად არ „მონათლონ“, – მთქმელი უფრო აშაგებს, ვიდრე გამკეთებელი, მაგრამ სტუდენტზე, რომელმაც გამოცდები თაბაშირის ხელით ჩააბარა, რამდენიმე დღის შემდეგ კი, „მოტყილი ხელით“, აზიდვებს აკეთება, მიუხედავად შემოტყვევისა, მასზე სიმართლე უნდა ვთქვათ, რადგან მან სხვისი ადგილი უსამართლოდ დაიკავა. ეს თემა მსოფლიო საჭადრაკო სამყაროს პრობლემაა, რაზეც არაერთი სტატია დაბეჭდილა ჟურნალ „64“-ში. გავიხსენოთ კრამნიკ-ტოპალოვის სკანდალი მსოფლიოს ჩემპიონატზე. ცნობილი დიდოსტატის რუბლევისკის წიგნი ნავიკითხე ინტერვიუ, რომელშიც მას დოპინგის შესახებ ჰკითხეს, მან კი უპასუხა, რომ მთავარი მუქარა არის ელექტრონული კარნახი, რომელიც ჭადრაკს ემუქრება. ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, არ მინდა იფიქროთ, რომ მხოლოდ მე შევწუხდი ამ პრობლემით. ყველა მოჭადრაკისთვის უმთავრესია, რო-

დესაც საჭადრაკო დაფებს მივუსხდებით, ჩვენი წლობით ნაშრომის გამოვლენა შევძლოთ, თანაბარ პირობებში ჩვენი გონებითა და შრომით დაფუძირისპირდეთ ერთმანეთს. რა შეიძლება გაკეთდეს ელექტრონული



კარნახის წინააღმდეგ? სათამაშო ზონაში, ანუ სადაც მოჭადრაკე გაივლის, თამაშის განმავლობაში უნდა მოხდეს ყოველგვარი სიგნალის ჩახშობა; უნდა აიკრძალოს კონტაქტი ყველასთან, გარდა მსაჯისა; მოთამაშეები და მყურებლები სპეციალური აპარატით უნდა შემოწმდეს; ინტერნეტით პარტია უნდა გადაიცემოდეს 4-5 სვლის დაგვიანებით. საუბარი იმაზე, რომ ზემოაღნიშნულის გაკეთებას არავინ იკადრებს, ძვირია და ასე შემდეგ, პასუხის გაცემაც არ ღირს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ჭადრაკმა თავისი სპორტული სახე არ დაკარგოს და ჩემპიონების მაგივრად, გვირგვინები თაღლითებს არ დაეცდეთ.

P.S. ქვემოთ გთავაზობთ საიტებს, სადაც თავადაც შეგიძლიათ ნახოთ ინფორმაცია მიკროყურსასმენების შესახებ. <http://naushnik.nnov.ru/> <http://gsmmicro.ru/>

ჟურნალისტიკის სპეციალობის  
IV-კურსის სტუდენტი,  
საერთაშორისო ოსტატი ჭადრაკში,  
მირანდა მიქაძე



## „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები“ ბათუმში

30 აპრილს კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურ ცენტრს „კონსტიტუციონალიზმის დარბაზი“ თბილისის 122-ე და 165-ე სკოლის მოსწავლეები ეწვევნენ. „კონსტიტუციონალიზმის დარბაზის“ მონახულებასთან ერთად, მათ მონახულეს აჭარის ღირსშესანიშნაობები, მონაწილეობა მიიღეს კონკურსში „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები“, კერძოდ წარმოადგინეს მათეული ხედეა კონსტიტუციის არსის შესახებ და შეავსეს თემატური ტესტები. დღის მეორე ნახევარში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული იმიტირებული სასამართლო პროცესი და მოსწავლეებს გადაეცათ პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები, სამახსოვრო სუვენირები - მაისურები, კეპები და კალმები კონსტიტუციონალიზმის ცენტრის სიმბოლიკით. მოსწავლეებმა კონსტიტუციონალიზმის ცენტრის სამახსოვრო წიგნი ჩანაწერები გააკეთეს. თემისა და თემატური ტესტების საფუძველზე გამოვლინდა კონკურსში „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები“ სამი გამარჯვებული. პროგრამის ფარგლებში ექსპოზიციას გაეცნენ და საკონსტიტუციო პროცესის განვითარების თობაზე ლექცია მოისმინეს 3000-მდე მოსწავლე-ახალგაზრდამ საქართველოს უკლებლივ ყველა რეგიონიდან.



## საქართველოს პირველობა გლავჭიღში

30 აპრილს ახალსოფლის სასპორტო სკოლაში საქართველოს მკლავჭიდის ეროვნულმა დეპარტამენტმა დასავლეთ საქართველოს პირველობა გამართა. მასში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან მოხალისეები, სტუდენტები და სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ქართული არმიის დღესთან დაკავშირებით შეჯიბრებაში მონაწილეობა ადგილის არმიის ჯარისკაცებმაც მიიღეს. 80-მდე მონაწილე 65-75-85-95-კგ. და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში იყო წარმოდგენილი. შეჯიბრს აჭარის მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი გორა შავაძე, მთავარი მსაჯი თემურ ლიპარტაშვილი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის წევრები დაესწრნენ. პირველი ადგილი 65კგ. წონით კატეგორიაში ლამა თავართილაძემ აიღო, 75კგ. წონით კატეგორიაში - უჩა ტყემელიაძემ, 85 კგ. წონით კატეგორიაში ხვირა ფუტკარაძემ და 95კგ. წონით კატეგორიაში ახმედ შავაძემ. შეჯიბრება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის დაფინანსებით ჩატარდა.



## 1 მაისი დასაქმებულთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეა

1 მაისი დასაქმებულთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეა და მსოფლიოს 130 ქვეყანაში აღინიშნება. მასში მილიონობით დასაქმებული მონაწილეობს. ეს თარიღი მშრომელთა უფლებების დაცვის დღედ პირველად ამერიკაში, 1888 წელს გამოცხადდა, 83 ქვეყანაში კი ეს დღე სახელმწიფო დღესასწაულად არის გამოცხადებული. ამ დღის აღსანიშნავად 1 მაისს 12 საათზე პროფკავშირების აჭარის გაერთიანებამ ტრადიციულად 6 მაისის პარკის ცენტრალურ შესასვლელთან აქცია გამართა. სხვადასხვა პროფესიის ადამიანები თავიანთ პროტესტს ტრანსფარანტების მეშვეობით გამოხატავდნენ, შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდნენ. მანიფესტაციაზე რამოდენიმეჯერ აჟღერდა საქართველოს პროფკავშირების ჰიმნი. 6 მაისის პარკიდან მსვლელობა მემედ აბაშიძის გამზირის გავლით ევროპის მოედანთან დასრულდა.



## პროექტი „სტაჟიორი“ აჭარაში

2007 წლიდან „საქართველოს ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირი“ წარმატებით ახორციელებს პროექტს „სტაჟიორი“, რომლის ფარგლებშიც მონაწილე აპლიკანტები სტაჟირებას გადიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. 30 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ პროექტი „სტაჟიორი“ პირველად განხორციელდა. პროექტში შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე პირები და სტუდენტები მონაწილეობდნენ. კონკურსი 2 ეტაპს მოიცავდა: ტესტირება ზოგად უნარებსა და უცხო ენაში და გასაუბრება. პროექტი ითვალისწინებს სტაჟირებაზე მყოფი 28 პირის მიერ 3 თვის განმავლობაში სამედიცინო დაწესებულების საქმიანობების გაცნობასა და შესწავლას. სტაჟირების შემდეგ მოხდება მედიკოსების ძირითადი ნაწილის დასაქმება სხვადასხვა საავადმყოფო დაწესებულებებში.



სოფიო კახაძე,  
ჟურნალისტიკის სპეციალობის  
IV კურსის სტუდენტი



ახალგაზრდული ფესტივალი -

# „სტუდენტური დღეები 2011“

„სტუდენტური დღეები“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამორჩეული ახალგაზრდული ფესტივალია, რაც ალამაზებს სტუდენტურ ცხოვრებას, მეტ ხალისს, შემართებას, წარმატების სურვილს და შემოქმედებით უნარ-ჩვევებს სძენს სტუდენტ-ახალგაზრდობას. ეს არის ღონისძიება, რომელსაც ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს სტუდენტებისთვის. ყველა სტუდენტს ეძლევა საშუალება გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები სხვადასხვა სახის სპორტული, შემეცნებითი თუ შემოქმედებითი სფეროში. სხვაგვარ სიხარულს გრძნობ, როცა განსაკუთრებულად აცნობიერებ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ საფეხურზე დაგხარ, ღია შენთვის კარები ცოდნის ტაძრისკენ, გაკისრია გარკვეული მისია და მონიჭებული გაქვს შესაბამისი სტატუსი, ხარ სტუდენტი... გეძლევა შესაძლებლობა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრის, მათი გაცნობის, მათთან ჭიდილის და გამარჯვების... გეძლევა შესაძლებლობა საკუთარი თავის წარმოჩენისა შესწავლისა



უმალესი სასწავლებლის 800-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. სტუდენტური ფესტივალის ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა სახის სპორტული, გასართობი თუ კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიება.

სტუდენტებს საშუალება ქონდათ ფესტივალის ფარგლებში წარმოეჩინათ საკუთარი შესაძლებლობები როგორც სპორტულ შეჯიბრებებში, ასევე კულტურულ, შემოქმედებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებშიც, სხვადასხვა ნომინაციაში. სტუდენტურ ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, უნივერსიტეტის შემოქმედებითმა ჯგუფებმა. მათ საკუთარი უნარ-ჩვევების, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა სხვადასხვა ნომინაციაში სცადეს და მოიპოვეს გარკვეული წარმატებებიც.

სტუდენტური დღეების საზეიმო გახსნა გაიმართა 18 მაისს მოძრაობის თეატრის მიერ მომზადებული წარმოდგენით და ჯგუფ „მგზავრების“ კონცერტით. 20-21 მაისს მიმდინარეობდა შეჯიბრებები სპორტისა და ხელოვნების სხვადასხვა სახეობებში შორის. 19 მაისს



ვერსიტეტში და შენი უნივერსიტეტისა - სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან საქართველოს მასშტაბით... ყველა ახალგაზრდას და ყველა სტუდენტს გილოცავთ „სტუდენტური დღეები 2011“ -ის დაბრუნებას, დაბრუნებას, როგორც „სტუდენტური დღეების“ ტრადიციად ქცეული მორიგი საზეიმო ღონისძიებისას. გისურვებთ წარმატებებს, კვლავ და კვლავ გამარჯვებებს და ნათელ მომავალს!!!

5 წლიანი შესვენების შემდეგ კვლავ აღდგა სტუდენტური ფესტივალის (სტუდენტური დღეები) ჩატარების მნიშვნელოვანი ტრადიცია. მიმდინარე წლის 18-22 მაისს ქალაქ თბილისში, ვაკის პარკში, გაიმართა ახალგაზრდული ფესტივალი - „სტუდენტური დღეები 2011“. ფესტივალი ჩატარდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით და გრძელდებოდა 5 დღის განმავლობაში. ღონისძიება თავისი მასშტაბით, უპრეცედენტო იყო. მასში ქვეყნის 28



გაიმართა ტურნირები სპორტის ორ სახეობას შორის: მკლავჭიდი და მაგიდის ჩოგბურთი, ასევე გაიმართა კონკურსი ხელოვნების სფეროში: ხალხური ცეკვა და თანამედროვე ცეკვა. 20 მაისს გაიმართა შეჯიბრებები სპორტის სახეობებში: ნარდი, ჭადრაკი, შაში და ხელოვნების სფეროში - ხალხური და საესტრადო სიმღერები. ფესტივალში მონაწილეობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხალხური და საესტრადო სიმღერების გუნდი.

21 მაისს მომეწონა საკონკურსო დღე გაიხსნა გამოფენით, ჩატარდა შეჯიბრებები თეატრალურ შემოქმედებით ნომრებში: იუმორისტული ნომერი, ორიგინალური ნომერი, თეატრალური სკეტჩი, ექსტრემალური სპორტი, ბრეიქდანსი. აღნიშნულ შეჯიბრებებში მონაწილეობდა უნივერსიტეტის მან-სან-კანის შემოქმედებითი გუნდი. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ფოტო გამოფენა, მასში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის ფოტო-ვიდეო სტუდიის სტუდენტებმაც, რომლებმაც



გამოფინეს აჭარის რეგულაციის ამსახველი ფოტოები.

22 მაისს, „სტუდენტური დღეები 2011“-ის დასკვნითი საღამო გაიმართა, 28 ნომინაციაში გამოვლენილი გამარჯვებული სტუდენტები და ახალგაზრდების ჯგუფები შესაბამისი პრიზებით დაჯილდოვდნენ. გამარჯვებულის პრიზი წილად ხვდათ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებსაც. ჭადრაკის ტურნირში გამარჯვებული ვაჟთა შორის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი გაიოზ ნიგალიძე გახდა, რომელმაც აიღო პირველი ადგილი და გახდა ოქროს მედალის მფლობელი.

ნომინაციაში ჟიურის სიმპათია, გაიმარჯვა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა - თეონა ჩიტოშვილმა.

სტუდენტური დღეების მიზანი იყო ახალგაზრდების ერთმანეთთან დაახლოება, ურთიერთ შორის აზრთა გაცვლა, სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

## პროფესორ იური ბიბილიაშვილის 75 წლის იუბილე აღინიშნა

ცნობილ მეცნიერს, პედაგოგიკურ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, საზოგადო მოღვაწესა და კრიტიკოსს იური ბიბილიაშვილს 75 წელი შეუსრულდა. საკონფერენციო დარბაზში გამართულ საიუბილეო სხდომაზე დავანდობის პედაგოგის ღირსშესანიშნავი თარიღი უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ, პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, პოეტებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა მიულოცეს. მათ კიდევ ერთხელ შეაფასეს მეცნიერის სასწავლო-სამეცნიერო მიღწევები და საზოგადოებრივი საქმიანობა და სამასხვორო საჩუქრები გადასცეს. მკვლევარს პედაგოგიკაში გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი რამდენიმე ენაზე, მათ შორის 10 მონოგრაფია და 2 სახელმძღვანელო. მან ახლებურად დაამუშავა სწავლების ფუნქციები, ინტელექტუალური განვითარების პედაგოგიური კონცეფცია და სრული განათლების თეორია. იური ბიბილიაშვილი დაიბადა 1935 წლის 1 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთის რაიონის სოფელ ჯიხაშიში. 1955 წელს დაამთავრა ბათუმის ამიერკავკასიის რკინიგზის 25-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს გახდა შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის სპეციალისტის სტუდენტი. სტუდენტობის პერიოდში ჭეშმარიტმა პატრიოტმა (9 მარტი, 1956 წელი) საჯაროდ გამოხატა პროტესტი ქართველი ხალხის მიმართ „ველი-კორუსული“ დამოკიდებულების წინააღმდეგ, რის გამოც 2 წლით თავისუფლების აღკვეთა

მიესაჯა. გათავისუფლებულმა წარმატებით დაასრულა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. იგი წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებაში. 1977 წლიდან დღემდე ბატონი იური შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში მოღვაწეობს ჯერ ასისტენტის და მასწავლებლის, 1983 წლიდან - დოცენტის, შემდეგ ასოცირებული პროფესორის, ხოლო 2008 წლიდან უნივერსიტეტის სრული პროფესორის რანგში. იყო განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სტუდენტი ახალგაზრდობის უფროსი მეთაური, ლექტორ-მასწავლებელი და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციების და მრავალი საინტერესო ღონისძიების წამომწყები. მისი ინიციატივით პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრაზე დაარსდა ხელნაწერი ალმანახი „მოძღვარი“, რომელშიც ქვეყნდება სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა წერილები და ნარკვევები. 2009-2010 წლებში ბატონი იური ხელმძღვანელობდა პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტს. იგი არის არა ერთი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციის მეცნიერ-ხელმძღვანელი, ოპონენტი და ექსპერტი. ფართო და მრავალმხრივია პროფესორ იური ბიბილიაშვილის მეცნიერული ინტერესების სფერო. იგი მოიცავს დიდაქტიკის, აღზრდის თეორიის, პედაგოგიკის ისტორიის, ქართული ლიტერატურის, სწავლების მეთოდის საკითხებს. მისი კვლევის გამორჩეული სფეროა გამორჩენილი პედაგოგის, მეცნიერული პედაგოგიკის ფუნქციონირების იან ამოს კომენსკის ცხოვრება და

მოღვაწეობა. სწორედ ამ თემაზე 1981 წელს დაიწყო საკანდიდატო, ხოლო 1997 წელს კი - სადოქტორო დისერტაციები. მაგრამ ბატონი იური ერთხელ გააკვალულ გზას არ სჯერდება და მუდამ ახლის ძიებაშია, ამიტომ 1999 წელს, უკვე პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, დაიწყო სადოქტორო დისერტაცია ქართულ ფილოლოგიაში. როგორც გამორჩეული ხელნაწერის მქონე ფილოლოგმა შექმნა ლიტერატურული კრებულები: „ლიტერატურული წერილები“, „დრამატურგების ქალაქი“, „ცხოვრების საზრისი“, „ცხოვრების შუაგულში“, „სული უკვდავი“ (2 ტომად), „ნექტრით სავსე ფილა“ და მრავალი სხვა. 1988 წლიდან ი.ბიბილიაშვილს ყოველწლიურად ინვევენ საერთაშორისო კომენოლოგიურ კონფერენციებზე, ჩეხეთის ქ. უპერსკი-ბროდში. 1989 წელს იგი აირჩიეს ქ. უპერსკი-ბროდის ი. ა. კომენსკის მუზეუმის კოლეგიის უცხოელ წევრად. არა ერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო სესიის, სიმპოზიუმისა თუ კონფერენციის მონაწილე ყოფილა ბერლინში, მოსკოვში, პრაღაში, მინსკა თუ ბაქოში. 1992 წელს ჩეხეთის ეროვნულმა კრებამ დააჯილდოვა საპატიო სიგელითა და ი. ა. კომენსკის მედლით. 1995-1999 წლებში ი.ბიბილიაშვილი არჩეული იქნა საქართველოს მეოთხე მონვევის პარლამენტის წევრად. 1999 წელს მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო ნიშანი. 1995 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა საპატიო სიგელით. 1999 წლიდან 2004 წლამ-

დე ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს. 2001 წელს აირჩიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წევრად, იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის რესპუბლიკური საბჭოს განათლების,



მეცნიერებისა და კულტურის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. ბატონი იური არის მწერალთა კავშირის წევრი, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურიატი (2011 წ.). 2005 წლიდან არის ენციკლოპედია „აჭარის“ ხელოვნების განყოფილების მთავარი რედაქტორი; 2008 წლიდან - რსუ სამეცნიერო შრომების პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სექციის თანარედაქტორი. ვულთავით ამაგადრ პედაგოგს 75 წლის იუბილეს და ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, ახალგაზრდულ შემართებას, რათა კიდევ მრავალი თაობა აღუზარდოს ჩვენს კუთხესა და სრულიად საქართველოს.





# ახალგაზრდების იდეების კვლადკვალ



**სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სამსახურის უფროსად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალისტის კურსდამთავრებული რევაზ ხარაზი დანიშნა. ამბობს, რომ ბათუმელი ახალგაზრდების სამსახურში დგას. მისი მიზანია სწორედ მათივე ნახაღისება.**

**– ბატონო რევაზ, სანამ ამ თანამდებობაზე დანიშნებოდით, სად მოღვაწეობდით?**

– ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის სპეციალობა დავამთავრე, ამავე სპეციალობით დავასრულე მაგისტრატურაც. იურიდიული განათლება დაუსწრებლად მივიღე. ვმუშაობდი ბათუმის უნივერსიტეტში სტუდენტთა მომსახურების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, ბათუმის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებაში. 2011 წლის იანვარში კი დავინიშნე აჭარის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ჩემთვის საინტერესოა ეს სამსახური. ვფიქრობ, გამოცდილება სამომავლოდაც გამომადგება...

**– რა გახდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის ჩამოყალიბების მთავარი მიზეზი?**

– ერთი წელიწადია რაც შეიქმნა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, შესაბამისად რეგიონში ამ მიმართულებით კოორდინირებული მუშაობა იყო საჭირო. სწორედ ეს გახლდათ აჭარის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის ჩამოყალიბების მთავარი მიზეზი. ეს დეპარტამენტი 2011 წლის იანვარში შეიქმნა, რომლის მთავარი საზრუნავია რეგიონში განავითაროს სპორტი და ნახალისოს ის ახალგაზრდები, რომელთაც სურთ თავიანთი ინიციატივები გააცნონ იმ ადამიანებს, რომლებიც ზრუნავენ ამ მიმართულების განვითარებაზე.

**– რა ღონისძიებები განახორციელა დეპარტამენტმა ჩამოყალიბების დღიდან?**

– 2011 წლის გეგმის მიხედვით გათვალისწინებული არის საინტერესო ღონისძიებები, რომელთაც ახალგაზრდულ სფეროში ახორციელებს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი. ამ გეგმის მიხედვით რამდენიმე დღის წინ ჩატარდა ველომარათონი, სადაც სხვადასხვა თაობის 200 ადამიანი ღებულობდა მონაწილე-

ობას. ასეთ პატარა ღონისძიებაზე 200 ადამიანის ჩართვა და მასტიმულირებელი საქმიანობა ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენი რეგიონისთვის, ჩვენი კუთხისთვის. მითუმეტეს, როცა ქალაქი და რეგიონი ვითარდება, რაც ახალგაზრდებს დასაქმების და დამატებითი შემოსავლის მიღების შანსი ეძლევათ. აგრეთვე ყველა უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარეობს შიდა საფაკულტეტო შეჯიბრი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა შემოქმედებითი ძალების განვითარებას. ერთი ასეთი შეჯიბრი დასრულდება გალაკონცერტით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ბათუმის უნივერსიტეტი, საზღვაო აკადემია, დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, მახინჯაურის საზღვაო უნივერსიტეტი. ამ გალაკონცერტს კი დააფინანსებს ჩვენი დეპარტამენტი.

**– რამდენად მჭიდრო კავშირი აქვს აჭარის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტს სტუდენტებთან?**

– ჩვენ სამომავლოდ ვფიქრობთ, რომ ფართო მასშტაბიანი სამუშაოები დავინიშნოთ უნივერსიტეტთან და ყველა იმ აკრედიტებულ სასწავლებელთან ერთად, რომლებიც დღესდღეობით აჭარაში ფუნქციონირებს. ამ შემთხვევაში ბათუმის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა, რადგან სპორტულ და ახალგაზრდულ მიმართულებებს უფრო ხელი შეეწყოს და ნახალისდეს. მაგალითისთვის აღვნიშნავ რექტორის გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება ფიზკულტურის გაკვეთილების შემოღებას. შეიქმნა სპორტის დეპარტამენტი, რომელმაც ამ მიმართულებით შემოიღო სალექციო კურსები. აქვე მინდა დავამატო, რომ 90-იანი წლების შემდგომ არ ყოფილა პრეცედენტი იმისა, რომ საუნივერსიტეტო ოლიმპიადებში მიეღო მონაწილეობა ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტებს. აჭარის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტს და უნივერსიტეტს შორის ამ მიმართულებით მუშაობას კოორდინირებას გაუწევს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია. ჩვენი დეპარტამენტის, რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინიციატივა იყო – შექმნილიყო ეს ფედერაცია. ეს არ ეხება მხოლოდ ბათუმის უნივერსიტეტს, ეს ეხება საზღვაო აკადემიასაც, რომელთანაც ანალოგიურად კარგი ურთიერთობა გვაქვს.

**– კერძო უნივერსიტეტები და სხვა აკრედიტებული სასწავლებლებიც თანამშრომლობენ თქვენს დეპარტამენტთან?**

– როდესაც შეიქმნა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი, პირველი საქმე იყო ის, რომ გაგვეკეთებინა ყველა აკრედიტებული სასწავლებლის რეესტრი. შეხვედრები გვექონდა ყველა უმაღლეს სასწავლებელთან და მის სტუდენტებთან, რომლებიც დღეს აქტიურად თანამშრომლობენ ჩვენთან. ასევე მინდა აღვნიშნო ხიჭაურის უნივერსიტეტიც და მივესალმები იმ მიმართულებას, რომლითაც ეს უნივერსიტეტი მიდის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამომავლოდ საინტერესო ღონისძიებებს

და გვემებს შევთავაზებთ ამ უნივერსიტეტს. **– რამდენად უწყობს ხელს სპორტსმენებს გეგმების განხორციელებაში და უტარებთ თუ არა მათ საჭირო ტრენინგ-სემინარებს?**

– აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 33 ფედერაციაა, რომლის შემადგენლობაშიც შედის უამრავი სპორტსმენი, რომელთაც დღეს ჭირდებათ დახმარება. ჩვენი დეპარტამენტი სერიოზულად მუშაობს და ითვალისწინებს ყველა იმ სპორტსმენის და ყველა იმ ადამიანის პრობლემას, რასაც ნავაწყდებით. აჭარის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი და ყველა ის ფედერაცია, რაც ჩვენს რეგიონში არსებობს, ერთობლივად ვმუშაობთ იმისთვის, რომ ეს სფერო კიდევ უფრო გაფართოვდეს და კარგი შედეგები ჰქონდეს ამ მიმართულებაში. სპორტის სხვადასხვა მიმართულებებში, განსაკუთრებით ამ ბოლო 4 თვის განმავლობაში, დიდ წარმატებებს მიაღწიეს. რაც შეეხება ტრენინგ-სემინარებს, ბიუჯეტი სამწუხაროდ არ არის გათვალისწინებული ამგვარი შეხვედრებისთვის. თუმცა სანვრითო შეკრებები ყველა სფეროში, ყველა მიმართულებაში გეგმა-ზომიერად მიმდინარეობს. თითოეულ სპორტსმენს ჩვენ ვაძლევთ საშუალებას, საერთაშორისო ტურნირებში მიიღოს მონაწილეობა. ჩვენი დეპარტამენტის ინიციატივით ბათუმის უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტუდენტი გავამგზავრეთ ანტალიაში, ევროპის ჩემპიონატზე მკლავჭიძმე. აჭარის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი

დადებითი ციკლი, რომელშიც დაახლოებით 6 ფედერაცია არის წარმოდგენილი. ამ 6 მიმართულების სპორტსმენები დაფინანსდებიან 31 000 ლარით. ეს თანხა გამოყოფილია ავტონომიურმა რესპუბლიკამ.

**– რას პირდებით ახალგაზრდებს და რას უსურვებთ მათ?**

– მე არ მიყვარს დაპირება. ვთვლი, რომ უმთავრესი არის ამ მიმართულებებზე კოორდინირებული მუშაობა. ჩვენ არ გვინდა, რომ ვინმე გამოვირიცხოთ. ყველა სტუდენტს, ყველა ახალგაზრდას მოვუწოდებთ მოვიდნენ ჩვენთან, მოიტანონ თავიანთი იდეები. ახალგაზრდების აქტიურობით და ჩვენი მხარდაჭერით ორი პროექტი გაკეთდა ჩვენ რეგიონში. პირველი გახლდათ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებზე ტრენინგ-სემინარები, რომელშიც ჩართული იყო 40-მდე ახალგაზრდა, მეორე პროექტში კი ჩვენი რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა იყო ჩართული. ეს იყო მზიარულთა და საზრიანთა გუნდების შეხვედრა.

**– როგორია აჭარის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის, კერძოდ კი რევაზ ხარაზის სამომავლო გეგმები?**

– სამომავლოდ ყველა მიმართულებით დავეხმარებით ახალგაზრდებს, გავუწევთ რეკომენდაციებს, დავეხმარებით სამუშაო ადგილების მოძიებაში. ჩვენ უკვე რამდენიმე ტურისტულ კომპანიასთან გვაქვს მოლაპარაკებები, რომელშიც შესაძლებელია 20-მდე ახალგაზრდა დასაქმდეს ამ მიმარ-



ყველანიარ საშუალებას აძლევს ახალგაზრდობას, რომ წარმატებებს მიაღწიონ.

**– აჭარის მთავრობის მიერ მიღებული ბიუჯეტიდან რა რაოდენობის თანხაა გამოყოფილი თქვენი დეპარტამენტის დასაფინანსებლად?**

– 2011 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია საინტერესო ღონისძიებები, რომლის დასაფინანსებლად 600 000 ლარი არის სპორტული მიმართულებისთვის განკუთვნილი. ჩვენ მიერ შემუშავდა 2012 წელს ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებელი

თულებით. ვთანამშრომლობთ ბათუმის მერიასთან, სადაც ერთობლივად ვმუშაობთ პროექტებზე, ღონისძიებებზე. მერიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება და ჩვენი დეპარტამენტი ერთიანი გუნდით ვფიქრობთ, რომ სამომავლოდ სასიკეთო საქმეებს განვახორციელებთ ჩვენი რეგიონისათვის.

**გვანცა საბაშვილი,**  
ურუნალისტიკის სპეციალისტის  
პირველი კურსის მაგისტრანტი

## ნაფიცი მსაჯული 3 - იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩემპიონატი

„ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციამ„ (elsa) იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩემპიონატის - ნაფიცი მსაჯული 3 მონაწილეთა შერჩევა დაიწყო. ჩემპიონატში მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და ახალგაზრდა იურისტებს შეუძლიათ. პროექტის ორგანიზატორები რსუს სოცი-

ალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სასამართლო საიმპიატო დარბაზში კონკურსანტებს შეხვდნენ და გასაუბრების წესით ბათუმის გუნდი დააკომპლექტეს, რომლის შემადგენლობაში არიან რსუს-ს სამართალმცოდნეობის სპეციალისტის სტუდენტები: მაია მიქელაძე, ნინო ფუტყარაძე და მარიამ ნაკაშიძე. ჩემპიონატში ქვეყნის მასშტაბით სამ-სამი წვერისგან დაკომპლექტებული 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. აქედან 5 გუნდი თბილისიდან იქნება წარმოდგენილი, თითო-თითო გუნდი ბათუმიდან, ქუთაისიდან და გორიდან. საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ჩემპიონატის მონაწილეებს ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტის უკეთ გაცნობის მიზნით 3-5 ივნისს ტრენინგებს ჩაუტარებს. კონკურსი გაიმართება ასევე ნაფიცი მსაჯულების, ექსპერტების და ბრალდებულების შესარჩევად. 100-მდე საუკეთესო ნაფიცი მსაჯული სამოტივაციო წერილისა და სპეციალური აპლიკაციის საფუძველზე გამოვლინდება. კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლია, გარდა იურიდიული და ფსიქოლოგიური პროფესი-

ების წარმომადგენლებისა, ხოლო ექსპერტების და ბრალდებულების როლისათვის სტუდენტები თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტიდან შეირჩევიან. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი შვიდი იმიტირებული პროცესი ივნისში, უზენაესი სასამართლოს შენობაში ჩატარდება. 12 ივნისს გაიმართება 4 შესარჩევი პროცესი; 18, 19 ივნისს – ნახევარ-ფინალები, ხოლო 2 ივნისს – ფინალი. თითოეული ეტაპის, ისევე როგორც პროექტის საბოლოო გამარჯვებული გუნდი ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტის საფუძველზე გამოვლინდება. პროექტის პარტნიორები არიან: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბათუმი), გორის სასწავლო უნივერსიტეტი.





# ქართული ენის დაცვა ნინას საქართველოს დაცვას



გასული საუკუნის 50-80-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას თუ თვალს გადავავლებთ, მივხედებით, რომ ნ.ხრუშჩოვის ხელისუფლებაში მოსვლით დაიწყო ნაჩქარევი, მოუფიქრებელი, სუბიექტივისტური თუ შოვინისტური დადგენილებების მიღება. XX ყრილობაზე მის მიერ სტალინის კრიტიკით მასთან ერთად შელახა საქართველოს და ქართველი ხალხის ღირსება. 1956 წლის მარტში ამას მოყვა საპროტესტო მიტინგები ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში: თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვა. თბილისში დაიღვრა ადამიანთა სისხლი. იყო სერიოზული მსხვერპლი. მარტის მოვლენებით დაიწყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი.

ხელისუფლების შეცდომებს შორის ერთ-ერთი სერიოზული შეცდომა იყო ინტერნაციონალური აღზრდის წინა პლანზე წამოწევა. ეს იწვევდა ეროვნულის შეზღუდვას, რაც გამოიხატებოდა ეროვნული ენებისადმი დამოკიდებულებაშიც. ცალკეულ რესპუბლიკებში ოდნავი კრიტიკული აზრის გამოვლენას ხელისუფლება მიიჩნევდა ნაციონალიზმის გამოვლინებად და ახშობდა მას. ამის საუკეთესო მაგალითი იყო აჭარაში, ბათუმში, ე.წ. „მექართველეთა საზოგადოების“ ჩამოყალიბება.

საქართველოს მასშედიდა მოუწოდებდა მოსახლეობას მშობლიური ენის სინამდის დაცვისაკენ. 1942 წლის 22 მარტს გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის გამგის დოცენტი დიმიტრი ქანტურიშვილის წერილი „დავიცვათ ქართული ენის სინამდის“. წერილს აქტიურად გამოეხმაურა ინტელიგენცია. განსაკუთრებით იაქტიურეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლაბორანტებმა: ლეილა რურუას, მერი გორდელაძის, ლამარა თადუმაძის, ლუბა კორიფაძის ინიციატივით ჩამოყალიბდა „მექართველეთა საზოგადოება“, (შემდგომ წლებში მათ აიმაღლეს სამეცნიერო კვალიფიკაცია და ამჟამადაც მუშაობენ თბილისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში). საზოგადოებაში გაერთიანდა 38-მდე კაცი. ისინი შეთანხმდნენ, რომ ქართულად მეტყველების დროს არ გამოეყენებინათ უცხო, მათ შორის რუსული სიტყვა. თუკი ვინმეს წამოცდებოდა, ჯარიმის სახით იხდიდა 20 კაპიკიდან ერთ მანეთამდე. დაგროვილი ფულით ფიდულობდნენ ნამცხვრებს, ხილს, შამპანიურს, რომელიმე ოჯახში შეკრების დროს შეექცეოდნენ და მსჯელობდნენ საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, მწერლობის, ხელოვნებისა და კულტურის შესახებ. ეს საზოგადოება

ლიტერატურული სალონის ფუნქციას ასრულებდა. ვინმეს არ მოსვლიდა თავში აზრად რუსული ან სხვა ენის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც დადასტურდა საარქივო დოკუმენტების საზოგადოების წევრთა ახსნა-განმარტებითი ბარათებით და საზოგადოების ცოცხალ ზოგიერთ წევრთან საუბრით.

ეს ამბავი გახმაურდა. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ (ოქმი #48) 1962 წლის 25 დეკემბერს (აჭარის ცსა, ფ1, აღ.12, ს.221, ფურც.:230, 236-239, 259-260) განიხილა საკითხი „ზოგიერთ მუშაკთა შორის მცდარი ნაციონალისტური გამოვლინების შესახებ“. ბიურომ მკაცრი შეფასება მისცა მას. ფაქტი ჩათვალა ნაციონალისტურ გამოვლინებად და საზოგადოების კომუნისტი წევრები გარიცხა პარტიიდან.

სინამდვილეში კომუნისტური რეჟიმის პირობებში საკუთარი თავის თვითდაზღვევის მიზნით ქართული ენის სინამდის დასაცავად ახალგაზრდობის მოქმედება სახელმწიფო მოხელეებმა გააზვიადეს, იგი აიყვანეს პოლიტიკურ დონემდე და ჩათვალეს ანტირუსულ ქმედებად, რაც შეცდომა იყო. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გავიდა წლები და



ყველა გარიცხული წევრი აღადგინეს სკკპ რიგებში.

კრემლის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამოვლინება იყო 1975 წელს მიღებული დადგენილება სამეცნიერო დისერტაციების მხოლოდ რუსულ ენაზე დაცვის შესახებ ყველა რესპუბლიკაში. ამ დადგენილებით სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისია გარდაიქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უმაღლეს საატესტაციო კომისიად (ვაკი-). ამით „ვაკის“ სტატუსი აამაღლეს მის წესდებას კი კანონის ძალა ჰქონდა. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა პროტესტი სამეცნიერო წრეების მხრიდან ზოგიერთ რესპუბლიკაში, კერძოდ, ამიერკავკასიასა და ბალტიისპირეთში. ორი-სამი წლით დისერტაციის დაცვა გაიყინა. შემდგომ ხელისუფლება იძულებული გახდა დადართო ნება საკანდიდატო დისერტაციის მშობლიურ ენაზე დასაცავად, ხოლო მოგვიანებით – სადოქტორო დისერტაციებისაც. ვაკში კი დისერტაციები და ავტორეფერატები წარედგინებოდა მხოლოდ რუსულ ენაზე.

საქართველოს მოსახლეობა მშობლიური ენის არა მარტო სინამდის, არამედ მისი სახელმწიფო სტატუსის დასაცავადაც აღდგა, როცა კრემლის მითითებით კონსტიტუციიდან ამოიღეს მუხლი ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის შესახებ. ეს გამოვლინდა 1978 წლის 14

აპრილს თბილისში და 26 მაისს აჭარაში. ხალხის ერთხლოვნებამ და ქედუხრობამ, რაც გამოიხატა მრავალათასიანი მიტინგების მოწყობაში, და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელის გაბედულობა და მოზომილმა მიდგომამ აიძულა კრემლი უკან დახეულიყო, რის შემდეგ საქართველოს და აჭარის კონსტიტუციებში აღადგინეს მუხლი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ. ამით თავიდან აცილებული იქნა ახალი სისხლისღვრა საქართველოში.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით ბევრი დაინერა. ვფიქრობთ, კიდევ დაინერება მომავალში. ამჯერად კი გვინდა აღვნიშნოთ, რა მისცა 26 მაისის მიტინგმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას, როგორ უნდა შეეფასოთ მისი მნიშვნელობა?

ჩვენი აზრით, 1978 წლის 26 მაისის მიტინგს ჰქონდა ისტორიული მნიშვნელობა:

1. დასახული მიზნით, გამოსვლის ფორმით, მასშტაბით, მოქმედების მეთოდებით 26 მაისი ბათუმში იყო 1978 წლის 14 აპრილის თბილისის მოვლენების გაგრძელება აჭარაში.

2. 26 მაისი ეროვნულ-სახელმწიფოებ-

ლიური ენა – ქართულია. ამიტომაც ის, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, დადგა ბარიკადებთან, იბრძოლა ქართული ენის დასაცავად და თავისი წონადი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში.

5. 1978 წლის მოვლენებმა (თბილისში, ბათუმში და სხვაგანაც) კიდევ ერთხელ დაარწმუნა ქართველი ერი, რომ ძალა ერთობაშია, რომელიც საქართველოს დღეს გამოლიანებისათვის ბრძოლაში ისე ძალუმად სჭირდება, როგორც არასდროს.

6. 1978 წლის მოვლენები, კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნება ეს იყო კრემლის რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე ქართველი ხალხის ეროვნული გამარჯვება.

ე.შევერდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „1978 წელი მხოლოდ კონსტიტუციაში შეტანილი ერთი მუხლის წელი კი არ არის, 1978 წელი ქართული ენის მარადიული სიცოცხლის მაჩვენებელია (ე. შევერდნაძე, ფიქრი წარსულსა და მომავალზე, მემუარები, თბ., 2006, გვ. 99.).

ბათუმის 26 მაისის მიტინგის შემდეგ ოცდაათ წელზე მეტი გავიდა. თუ გავითვალისწინებთ ამ მიტინგის ისტორიულ მნიშვნელობას და მის შედეგად მიღწეულ წარმატებებს, საჭიროდ მიგვაჩნია, მშობლიური ქართული ენის დასაცავად გამართული ამ მიტინგის უკვდავსაყოფად, მის მონაწილეთა ღვაწლის დასაფასებლად, ქ. ბათუმში, ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე, ილია ჭავჭავაძის ძეგლთან მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც აქციის ეპიცენტრი იყო, აღიმართოს ძეგლი ხელში დედანადაჭერილი იაკობ გოგებაშვილისა, რომელიც ილია ჭავჭავაძისთან ერთად, განსაკუთრებულად ზრუნავდა დაბრუნებული ძმების, აჭარლების ეროვნული ცნობიერების აღდგენისათვის (კუთხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მემედ აბაშიძის თხოვნით, მან შექმნა სპეციალური დედაენა აჭარელთა ბავშვებისათვის). ეს ძეგლი თუ მემორიალი მომავალ თაობებს შემოუნახავს ამ ისტორიულ სინამდვილეს – აჭარის მოსახლეობის ერთგულებას, თავდადებას მშობლიური ქართული ენისადმი.

1978 წლის საქართველოს მოვლენებზე სრულყოფილი წარმოდგენებისთვის საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს ისტორიის IX კლასის სახელმძღვანელოში 14 აპრილზე საუბრისას დაემატოს მონაცემები 26 მაისის ბათუმის მოვლენებზე.

1978 წლის ისტორიულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ქართველი ხალხის სიმტკიცე და ერთიანობა იქნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთი გარანტი.

**ს. ღუმბაძე,**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი







# აპოლონის იმით, აპოლონა ისაპ

(ნათელმინაზე დავითეთში)

ბათუმის სამხრეთით, ჭოროხის შესართავთან ახლოს, ადლიის მიმდებარედ, ახალი ბულვარის ზღვის სანაპიროზე, რამდენიმე ათეულმეტრიანი, იატაკისმაგვარად მოკირწყლულ ზედაპირიანი გემთმისადგომიდან, ალიონზე, ამომავალი მზის სხივებით გაბრწყინებული სამყარო მოჩანს. წინ აღმოსავლეთით შორს ჭოროხის ხეობაში ხილული, ზურგიტ კი წყლის უზარმაზარ სივრცეში თვალთ უხილავი სანახაობა იშლება.

ბულვარის ყვავილნარებს ჩალისფერი შეპარვია. წინვოგენები და მარადმწვანე ფოთ-

ბით უნდა ყოფილიყო, როგორც ქართლში, ხაშურის რაიონის სოფელ ხცისის (წვიმეთის) დავითაძეებთან. შეთანხმებისამებრ აგვისტოს პირველ ნახევარში, შუახვევლი დავითაძეები: ვაჟა, სარდიონი, თეიმურაზი და მურმანი, ანთროპოლოგ პროფესორ ოთარ ცეცხლაძესთან ერთად გაემგზავრნენ ჭოროხის ხეობის მაღალმთიან სოფელ სურევანში.

2010 წლის ცხელ ზაფხულს, ადრე დილით უკან რჩება სარფის კარი და ქალაქ ხოფიდან ვერცხლისფერი, ყველგანმავალი ავტომობილი პონტოს ქედის მთისწინეთში, მზის ამოსვლის მიმართულებით, ლახეთის ამ გორაკ-პორცეებში, მდინარე ჩხალას ხეობაში მიმავალ გზას შეუდგა. ისევე როგორც აჭარაში, აქაც კოლხური ტყე გაჩხილია. მის ნალაგარზე ჩაის პლანტაციები გაშენებული. ციკაბო ფერდობიან ღრმა ხეობებში კოლხური ტყის



ლოვნები, მუქ ხასხასა-მწვანე სამოსშია. ირგვლივ ციტრუსოვანთა პლანტაციები ოქროსფრად მბრწყინავი ნაყოფითა და ხუფქული. სამხრეთ კოლხური, სუბტროპიკული შემოდგომა ძალაშია შესული. მთის-სინეთში, გორაკ-პორცეებზე ფოთლომცვენი ხეები და ბუჩქები ბარხატოვან ფოთლებშია გახვეული, ეტყობა ფოთოლცვენაა დაწყებული.

აჭარა-გურის და პონტოს ქედის მთაგრეხილების მწვერვალები შევერცხილია. ზემოდან ვეიშურს მთათა სინინდის და სიდადის გამოსახველი თოვლის თეთრი საბურველი. ქვემოთ ზღვისკენ, კოლხური მარადმწვანე ქვეტყის მცენარეები დიდი, ტყავისებრი, პრიალა, მწვანე ფოთლებითაა შემოსილი. მათ მიერ შექმნილი მწვანე გარემო, ჩაისა და ციტრუსების ვრცელ პლანტაციებში გადადის, სანაპირომდე ეშვება და შავი ზღვის ლაჟვარდოვან სივრცეს ერწყმის. თითქოს სულ ახლოს, ჩვენს თვალწინ იშლება მეტად კონტრასტული ლანდშაფტი – შავი ზღვა, მუქ-მწვანეში ჩაფლული მთისწინეთი და თოვლის თეთრ საბურველში გახვეული მთები.

ყველაზე ახლოს მტკვრალა და ლანგატის მთაა. შორს გვანცა, პერანგა, ნაომარი და კარჩხალია. სამხრეთით საყორნია, ქასრიანი, გომანი და ლომაა. უფრო სამხრეთით ზღვისკენ წინაველას და პონტოს მთების მწვერვალებია. მაღლა მთაში სულის ნათება სხალთა-ხიხანი, ხინო, დიდაჭარა, გოდერძი, ტბეთი, წმინდისერი, ელიანმინდა და ნაციმიციმბია. ეს ყველანი, ჩვენი უძველეს სინინდეთა შემომნახველი, მკვიდრად ჩახვევია ზვიად მთებს. პონტოს მთაგრეხილების იქით, ბორჩხის მიდამოებიდან, ართვინ-იმერხე-შავშეთის მიმართულებით, შავშეთის ქედის სამხრეთ ფერდობებზე, ჭოროხის მთათა სივრცეებში გაფანტულნი, თითქოს დადუმებულან ქართული სულის მატარებლები: დოლის ყანა, ხანძთა, ოპიზა, არტანუჯი და ტბეთი. დიახ, აჭარა-იმერეთის, არსიანის, შავშეთის ქედების მაღლა აზიდული მთათა მწვერვალები ვერ ევარება მათ. ჭოროხის შესართავიდან, მის ახლომდებარე ადლიის გემთმისადგომიდან, დილით გარეშაყუე მათთან ერთად ვხვდებით ტაო-კლარჯეთში, ჭოროხის მაღალმთაში, საკმაოდ აზიდულ ფარკოხის მთის კალთაზე შეფენილ სოფელ სურევანს (სვირევანს) თავისი მრავალი უბნით, მათ შორის გამორჩეულ-დავითეთს.

2010 წლის მაისში, დავითაძეთა საგვარეულოს საზოგადოების დაფუძნების დღეს, ვაჟა დავითაძის ინიციატივით მოძმენი შეიხმადნენ, რომ მიმდინარე წელს მოინახულმდნენ ტაო-კლარჯეთში, იმერხევის სოფელ სურევანულ დავითაძეებს. სტუმრობა იმდევარი ინტერესით და შემართე-

ააგო. მოგვიანებით IX საუკუნეში აღნიშნული ქალაქი ეკლესია-მონასტრები, კლარჯეთის დედაქალაქი და სავაჭრო ცენტრი ყოფილა. ვათვალისწინებთ არტანუჯის ციხეს და მივიჩქარებთ ხანძთისაკენ. გზად ვხვდებით „ჯოჯოხეთის ხეობას“. ამ უნიკალური გამოქვაბულის მსგავს გრძელ კლდოვან, მიუვალ მშრალ კანიონს, ბუნებრივ ციხე-სიმაგრეს, ქართული გენის ბევრჯერ შემფარველს და დამცველს. არტანუჯის ხეობა უკან მოვიტოვებთ. ჯერ მზე ზენიტში არაა. სანამ სხივებს პირდაპირ, დაუხრელად გამოგზავნიდეს ჭოროხის ხეობის ამ მონაკვეთისაკენ, მდინარე კარჩხალის სამხრეთ ქვა-ლორღიან ფერდობზე მიმავალი გზით ხანძთისკენ მივეშურებით. ჩვენი ავტომანქანის გარე შაერის ტემპერატურის მაჩვენებელი +44 გრადუსის გასწვრივია. ვუახლოვდებით ხანძთას და ამ კლდოვან ფერდობებზე, ფოთლოვანი მცენარეულობით დაბურულ ხეობაში-ოაზისში შევდივართ, სადაც ციხე-ციხე წყარო მოჩქევს. ხანძთის მონასტერი მდინარე კარჩხლის სამხრეთის ძნელადმისადგომ ბეჭობზეა აგებული. მისი ნახვა გავახსენებს გალაკტიონის ნიკორმინდაზე ნათქვამს – „ნეტავ ვინ აზიდა, ან როგორ აზიდა, რა ხელმა აზიდა... რა განძი გვექონია, შენის სულმნათი-სადა ასვლა ეროვანი, მზერა ქართულია...“ და ა.შ. ხანძთის მონასტერი შუა საუკუნეებში ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო. მის ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდნენ: არსენ პირველი, ეფრემ მანწვერელი, მაკარ ლეთელი და სხვ. აქ მოღვაწეობდნენ მწერლები და კალიგრაფები: გიორგი მერუღე, მოსე ხანძთელი, სტეფანე და სხვ. ხანძთის დათვალეობისას, გამახსენდა ორი წლის წინათ, ტბეთის საკათედრო ტაძრის მაღლა აწვდილი ქართული ჩუქურთმებით შემკული, ღრმადთალოვან კედლებზე მიჩერებული, მზერით გაცობული ევროპული ტურისტები. მათგან გერმანელები და ფრანგები ნანახით აღფრთოვანებულს ვერ მალავდნენ; ჩვენი, ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მაგისტრებთან საუბრისას კი დიდებული ტაძრის უნიკალურობაზე მიუთითებდნენ. ამ ყოველფერ ქი დღეს XXI საუკუნის, თანამედროვე ქართველებში სიამაყის გრძობის სიმი შვარხია. ტაო-კლარჯეთის მინაზე დღესაც ამაყად მდგარი უძველესი ტბეთის ტაძარი ყოველ ქართველთა სულიერ საზრდოდ გვეკვლინება.

ხანძთის მონასტრის შემოგარენში მოშენებული სუბტროპიკული ხეხილოვნებით შექმნილ მრდილო, წყაროს წყალთან შესვენების შემდეგ ვეშვებით ხეობის სიღრმეში, მდინარის ნაპირთან და ჭოროხის ხეობით იმერხევის მშვენიერი სოფლისაკენ-სურევანისაკენ მივემართებით. გზად სოფელ შერთულთან, შავშეთისწყლის და იმერხევისწყლის შესართავთან ვესაუბრებით სოფელ დობანისა და იფრუელის მკვიდრთ დურმუშებს (კურჭუხიძეებს) და იაღვებს (დარბაზინეთებს). სანამ სურევანში ავიდოდით, იმერხევი, ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე დიდ (900 მოსახლიანი) სოფელ წყალსიმერში აღმოჩნდით. იგი ჩვენთან (აჭარისწყლის ხეობასთან) ძალზე ახლოსაა, აქედან მთა ტბეთი და ლომა სულ რაღაც რამდენიმე ათეულ კილომეტრზეა. ჩვენებურებთან სხვადასხვა საკითხებზე საუბრის შემდეგ დავათვალეობთ სოფელი და სურევანისაკენ გავეშურებთ. ერთ-სათიანი მოგზაურობის შემდეგ სურევანში ავდით.

ფარკოხის მთის სამხრეთის ექსპოზიციის დიდ ფერდობზე შეფენილი სოფელი სურევანი, სადაც 800-მდე მოსახლე ცხოვრობს. აქაურები ქვემოდან შეკყურებენ მზის ამოსვლას და შავშეთის ქედის აქეთა

მთებს-ქასრიანს, ხიხანს, ტბეთს, ლომას.

გეოგრაფიულად ერთ განედზეა აჭარისწყლის ხეობის ვალოვანი, თხილვანი, ლელვანი, თელვანი და ჭოროხისწყლის სურევანი (უცხოური სიტყვა სურევანი, ქართულად თუთიანს (ბულოვანი) ნიშნავს. ამ ტოპონიმთა ფუძე კოლხეთის მცენარეებია: ვაშლი, თხილი, ლელი, თელა და თუთა. ისინი ჩვენი ხეხილის ბაღებში უნიკალური ჯიშებითაა წარმოდგენილი. გეოგრაფიული სახელების (ტოპონიმთა) დაბოლოებანი ვანი და ვანა ერთიანია, ისინი სახელთა მანარმოებულია აქაც და იქაც – ჭოროხის იმერხევი.

### სოფელ სურევანის ერთ-ერთი უბანი

მრავალი ნათელის მნახველია ტაო-კლარჯეთი, თავისი იმერხევიტ, სურევანით და მისი უმშვენიერესი ლამაზი უბნით, დავითეთით. ბევრი სიძველის მთქმელია დავითეთი. სოფელში შესვლისთანავე თვალს ხვდება აქა-იქ რკინა-ბეტონით ნაგები, თანამედროვე ორსართულიანი სახლები, ფიცრით ან ჯარჯვალის ნაგებ ძველ საცხოვრებელთა შორის. ფერდობზე მდგომი სახლების ხილვამ, ადრე აჭარის მთიანეთისათვის ესოდენ დამახასიათებელი საცხოვრებლები გავგახსენა. მათ ირგვლივ ქართველურად განლაგებული ეზო, ბოსტანი, ნალია, ახორი და ყანა, ეზო-კარში უამრავი ხეხილით, სოფლის ყველაზე გამოსაჩენ და მისადგომ ადგილზე უძველესი სასაფლაოთი. აქაც, ირგვლივ მრავალი ხეხილია, მათ შორის გამოირჩევა დიდი ბუბური კაკლის ხე. ამ უძველეს რელიქტს ხმელთაშუაზღვისპირეთიდან აქაც ამოუღწევია. მის უძველესობაზე (წარმოშობით) და ასაკითავე ის მინიშნებს, რომ მინისზე და ფესვები ისე აქვს განვითარებული, გეგონებათ მცენარე ოჩოფეხებზე დგასო. სინამდვილეში ფესვთა ამდაგვარად ნიადაგში და მინის ზემოთ განლაგება ამ სახეობის (კაკლის ხის) არქაულობაზე მიანიშნებს. მასთან ერთად უძველესია (არქაულობა) ჩვენი ძირძველი კუთხე-სამშობლო-იმერხევის დავითეთიც.

ტაო-კლარჯეთის სოფელ სურევანის გამორჩეული უბანი-დავითეთი კეთილი, თითქოს მორჩილი, მაგრამ ამასთანავე ამაყი და ზვიადია, ისე როგორც ირგვლივ აქეთ-იქითა მთები შავშეთის მთაგრეხილებზე. ლამით ვსტუმრობდით ჩვენს უშუალო მასპინძელს აივაზ დავითაძეს. დილით, დავითეთის დავითაძეებთან შეხვედრისას, თეიმურაზის, სარდიონისა და ვაჟას სახეზე კიაფობს სიამაყის გრძობით გაელვებული მზრწყინავი თვალბო, ერთიანად გაბადრიათ სახეები, როცა დილიდანვე შემსუდინ დავითაძე და სხვები გვეპატიჟებიან რამდენიმე წუთით მაინც ვესტუმროთ. იციან, რომ დიდ, ძველ ზეიმზე „მარიამობაზე“, „სათავეზე“, ე.წ. „გვერეგვესტივალზე“ მივიჩქართ. გასაოცარია, ამ ძველმა დღესასწაულმა - „მარიამობამ“ იგივე „მარიამობა“, რატომ განიცადა ამდევარი ტრანსფორმაცია. გასაგებია, „მარიამობა“ ქართულია, ქრისტიანული, ასევე „სათავეც“, „გვერეგვესტივალი“ კი ახლად შერქმეულია. იგი თითქმის ჩვენებურ შუამთობას მოგვაგონებს. „გვერეგი“ ნაღებში მოხელილი ხორ-



ბლის ფეკილისაგან დამზადებული ლოყა-ნითელა, მიმზიდველი კვერია. უკვე ყველა ჩვენთავანისათვის ნათელი გახდა ეს ფესტივალი დღეს ამ საამ: „მარიამობა“, „სა-



დასაწყისი 9-მც.

თავის და გვერდფეხსთავის სახელით რატომ მოიხსენიება, ამდგარი მოდერნიზაციის ქვეშ მალულად სხვა რამ ჩანს.

დიდი სიხარულის მომგვრელი გამოდგა ქართული იუმორით დაჯილდოვებულ შემსუდინ დავითაძის ოჯახში დილით, ფესტივალზე, სათავეზე წასვლამდე ერთ-საათიანი სტუმრობა. მისთვის საჩუქრად ჩატანილი ფანდურის და გარმონის საზეიმოდ გადაცემა. ჩვენთვის ხომ მეტად სათუთი, ნაზი და მგრძობიარე სულის განაზვ იყო მისი რძლის ნერმინის და უმშვენიერესი ცისფერთვალეა ქალიშვილის ლეილა შეხვედრა და სუფრასთან მომსახურება. ქვეშ-ქვეშ, მაგრამ მდიდურად უყურებს თეიმურაზი გვერდით მჯდომს, ჩვენს თანამგზავრს, ჯერ კიდევ უცოლოს. ჩურჩულით მიმართავს: „აი საპატარძლო, თუ შეგიძლია დაანთე ცეცხლი ცეცხლად“.

ცოტა გადავუხვიე. დავითთან სამხრეთ-ალმოსავლეთით გზა მთების მართულდებით ჯერ გაახოებულ სათიბ-სადოვრებს გაივლის. იქვეა ჩვენებული, თბილისში მცხოვრები, წარმატებული ბიზნესმენის ოსმან თურანის სოფელი უბე (თურქ.ობა) და მისი, ზედ ნაძვნარზე მიმჯდარი რკინა-ბეტონით ნაგები სახლი გალავნით. გავილით ნაძვნარ-სოფნარს და დიდი, ნაწვერადგავაკებული, ვრცელი უტყეო სივრცე გამოჩნდება. კარავს კარავი ებჯინება, ნორჩ ბალახზე ნაირფეროვან ჩუქურთმებით აჭრელებული ნახები, სახელდახლოდ მონყობილი სავაჭრო ფარდულები, სამზარეულები და რაც მთავარია, ცენტრალურ ნაწილში საკმაოდ დიდი სცენა, ირგვლივ თანამედროვე სარეპორტაჟო სადგომებით და აპარატურით.

დილით სათავეზე ჩვენი ასვლა ყველას (დავითაძეებს) ვერ გავეცო. ისინი ხომ სხვებთან (მთელი იმერსევი) ერთად აქ უკვე მეორე დღეა ზეიმობდნენ. ზეიმი სხვადასხვაგვარად იმართება. ჯერ-ჯერობით დილით ასვლისას „მშვიდად“ ვიყავით. გაგეს თუ არა ჩვენი იქ სტუმრობა მოზეიმ დავითაძეებმა და სხვებმაც, ყველას ჩვენთან შეხვედრა სურდა. ზეიმზე არა მარტო იმერსევიდან,

არამედ ტრაპიზონიდან, სტამბოლიდან, ანკარადან და სხვა ქალაქებიდანაც იყვნენ ჩამოსული დავითაძეები. მათთან ერთად ყველა იმერსეველ ჩვენებურს აინტერესებდა ჩვენთან შეხვედრა. ბოლოს გადაწყდა, რომ ამ ზეიმზე, უზარმაზარ შეკრებაზე, სცენიდან წარვედგებოდით და აი სიმპათიური დიქტორი აცხადებს: „ჩვენს ზეიმს ესწრებიან სტუმრები მეზობელ ბათუმიდან“. იქუხა ტაშმა და უფრო დიდი ხმა გაისმა ექოსი, რომელიც ირგვლივ ხშირმა ნაძვნარმა გამოსცა. ჩვენ მივესალმეთ მოზეიმებს და მათ შორის ჩვენს მოძმე დავითაძეებს. ბატონმა თეიმურაზმა კი, ალბათ მთაში ვიყავით და იმიტომ, „ქარბუქში ჩამოიყვანეს“ ჩამოიხვეწა. სცენიდან ჩამოსვლას არ გვაცლიდნენ ჩვენებურები: მასწავლებლები, მეცნიერები, ისტორიკოსები, მუსიკოსები, სხვადასხვა ფირმის მეპატრონეები და მათი წარმომადგენლები, სხვა ბიზნესმენები. მათ შორის გამორჩეული ჩვენებურები ოსმან და ნესიფ ზენკალიენები, ოზგურ ხაჯალიძე, ბილგე გორგვაძე, აიშეგიულ ხაზალიძე (სოფ. ბაზგირეთიდან), მეშველ ავეჯიშვილი, ქემალ ჯივანიენი, ნეჯათ ზუმბაძე, ემრეთ გამიშიძე (სოფ. ჯვარისხვიდან), ქოქსარ სარაჯიშვილი, ათექინ ზაზაძე, დავით მამულაძე, ანმედ ღურანი, ზაბით მამულაძე, მეშველ კოპიძე, ჰუსეინ ზაქარიძე, ნესიფ ვარდიძე, ოსმან გოჩიტაძე (სოფ. წყალსიმერიდან) და სხვ. ისინი გვეპატიუებოდნენ მეგობრულ შეხვედრებზე, აზრთა გაცვლა-გამოცვლაზე. ბატონმა ვაჟამ იქვე აღუთქვა, რომ თავის სასტუმროში უფასოდ მიიღებდა, დააბინავებდა და მოვლა-პატრონობას არ მოაკლებდა ბავშვთა ჯგუფებს, რომლებიც ზაფხულში თვე-თვემანხევრით



სურეგანის ზემოდან დამყურე მთა სათავე სალამოს დავტოვეთ. ვეშვებით ქროხის ხეობის სიღრმეში მდინარის სანაპიროსაკენ. ვუახლოვდებით ართვინის შემოგარენს და უცნაურად თითქოს ფოლადის სადნობ ღუმელს მივუახლოვდით, ისეა გაცხლებული ართვინის მიდამოების კლდოვანი, ლარიზმცენარეულობიანი ფერდობები. ქროხი, ჯერ კიდევ აქ არ შეუგუბებიათ, ის მისთვის დამახასიათებელი სიჩქარით მოედინება ადლის ახლოს შავი ზღვისაკენ. გზად აქეთ-იქეთ ეხეთქება კლდოვან ქარაფებს. მის ნაპირებზე წარმოქმნილი ნიავე ვერაფერს აკლებს აქ კლდეთა უზარმაზარ სივრცეებთან დღისით არეკლილი მზის სხივებით გაცხლებულ-გავარვარებულ გარემოს. ლამაა, ართვინი ელექტრომუქით ლამაზად ბრწყინავი, ოქროსფერად აკიაფებული, მოელვარე ლამპირებითაა გაქათქათებული. საკმაოდ დახრილობის ფერდობზე, მისი შეფენილობა დღესთან შედარებით, ღამით უფრო შესამჩნევია. არც ისე დიდი დრო გასულა, რომ პონ-

ტოს მთავრებილებში ჩაფლულ ბორჩხაში შევედივართ. აქ უკვე სხვა გარემოა, შავი ზღვის გავლენა ემჩნევა და ჰაერი ზომიერად ტენიანია, სამხრეთ კოლხეთისათვის დამახასიათებელი ნოტიო სუბტროპიკული, რბილი და არც ისე მკენარი სიციხით, როგორც ართვინშია. თვალს შევავლეთ ჩვენებურ მაჭახლებს და ბორჩხას. ბორჩხადან გზა ზღვისპირეთისაკენ, სარფამდე არც ისე გრძელია, ერთი საათიც არ გასულა და სარფში ვართ. სასაზღვრო გამშვებ პუნქტში გვესმის აქაური ტურისტების საუბარი – შთაბეჭდილებები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ უნიკალურ ნათელმინაზე გაბნეული უძველესი ტაძრების შესახებ, იმ ციხე-სიმაგრეების, ეკლესიების, მონასტრების და აკადემიების შემორჩენილი ნაგებობა-ქმნილებების შესახებ, რომლებიც შუა საუკუნეებში და ადრეც, საქართველოს ცივილიზაციის მყარ, მდგრად ცენტრს წარმოადგენდნენ. მათი ნახვა ყოველ ქართველს სიამაყით განაწყობს. სწორედ, ამდგარი შემართებით დავგხდა ჩვენ აჭარისწყლის (შუახვიის) დავითაძეებს, იქ ქროხის ხეობაში მაღლა შავშეთის ქედის ფარკობის მთის სამხრეთის დიდ ფერდობზე შეფენილი სურეგანის გამორჩეული უბანი დავითითი. ქროხის ხეობაში, ტაო-კლარჯეთის უძველესი ქართული კულტურის კერების ნახვამ და ჩვენებურ დავითაძეებთან შეხვედრამ, ფრიდონ ხალვაშის „დავით-ქოე, სოფელი დავითაძეთა“ გამახსენა-“რა ძაღუძს, გასაკვირია, სისხლს სისხლი რომ მონატრებს“ და ეს ნაამბობი ნათელმინაზე, ვაჟა დავითაძისადმი მიძღვნილი იმავე ლექსის პირველი სტროფით მიხდა დავასრულო: „ამ დღემ რაც გვახარ-გვალონა, მას რა კალამი დაწერდა, ვაჟა იჩემებს, - ვნახონა, სოფელი დავითაძეთა“.

*პროფესორ ემერეტუსი - მურმან დავითაძე ასოცირებული პროფესორი - ოთარ ცეცხლაძე*

კვლევიერ ხალვაში - 70

# მეობლიური უნივერსიტეტის სიყვარული



სოფელი ხიხაძური ხიხანის ხეობის ისტორიული ციხე-სიმაგრის მახლობლადაა გაშენებული. სოფლის საშუალო სკოლა ოდიოტანვე წამყვან სიტყვას ამბობდა ამ ხეობისა და მისი მიმდებარე სოფლების ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. სკოლის მრავალი

წაერთო პედაგოგიურ საქმიანობაში, რასაც მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება. მათემატიკის, სტრუქტურებისა და მშობლიური უნივერსიტეტის (მაშინდელი ინსტიტუტის) სიყვარული განვლო ბატონმა ვლადიმერმა ცხოვრების დიდი გზა და დღესაც ღირსეულად აგრძელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. მისი სალექციო კურსები მოიცავს მათემატიკურ ანალიზს, უმაღლეს მათემატიკას, დიფერენციალურ განტოლებებს და სხვა მათემატიკურ დისციპლინებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებაში ბატონი ვლადიმერი ცნობილია, როგორც მაღალი პროფესიონალი, უბადლო სპეციალისტი. ცნობილი მათემატიკოსის, რამაზ ნულუკიძის თანავტორობით გამოქვეყნებული აქვს ნიგნები ელემენტარული მათემატიკის აქტუალურ საკითხებზე: „მათემატიკის არითმეტიკა“ (1995); „მაღალი ხარისხის ალგებრული განტოლებები“ (1997); „უტოლოგია და ამტიკიცება“ (1998); „მატემატიკა – სწრაფვა სილამაზისაკენ“ (1999); „ს.ა. რაჩინსკი – ბოტანიკის პროფესორი და არითმეტიკის მასწავლებელი“ (2003); ან გარდაცვლილ რეზო ქათამაძესთან ერთად მოამზადა ნიგნები „პელეს განტოლება“, ხოლო მისი ხელმძღვანელობით ბათუმის მე-8 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა იზოლდა გორბიენოვმა გამოცემა ნიგნ „რიცხვთა ბაბილონური სამეულები“. ვლადიმერის ავტორობით მათემატიკის ბიბლიოთეკის ნიგნად ფონდში დაცულია კომპიუტერზე აერეფილი, ამობეჭდილი, აკინძული და ყდაში ჩასმული 18 ნიგნები, რომლებშიც მო-

ცემულია: (2-11000000) შუალედში მოთავსებული სათანადოდ გადანომრილი მარტივი რიცხვების ცხრილი სამ ნიგნად; ლექსიკოგრაფიულად დალაგებული ე.წ. პერონის (მთელზომებიანი) ფიგურების ცხრილი სამ ნიგნად; მაგიური კვადრატების ცხრილი ერთ ნიგნად; მარტივი რიცხვებისგან შედგენილი პ-მაგიური კვადრატების ცხრილი სამ ნიგნად, რაჩინსკის ცხრილი და სხვა მათემატიკური კატალოგები. ვლადიმერ ხალვაშმა სათანადოდ გაფორმებული მაღალი რიგის მაგიური კვადრატები მიუძღვნა ვლადიმერ ბალაძეს, გივი ხალვაშს, სოფო ხალვაშს, მანვე მცირე ზომის მათემატიკური ნოველები მიუძღვნა ფიოდორ იურჩინსსა (კოსმონავტი, დაბადებული და გაზრდილი ქ. ბათუმში) და და ონისე სურმანიძეს. ცალკე აღნიშვნის ღირსია მის მიერ შედგენილი ე.წ. ქართული მათემატიკური ჯვართკომპლექტი, რომელიც სათანადოდ გაფორმებული სახით ინახება მათამეტიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში. ბატონი ვლადიმერი შესანიშნავი პედაგოგია, გამოირჩევა უზადო უზრალეობით, ადამიანებისადმი უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით. იგი ადამიანში ხედავს მხოლოდ დადებითს და ავლენს მათ დამი კეთილგანწყობას. მას განსაკუთრებული სიყვარული აქვს სტრუქტურებისადმი, რომლებსთვისაც ყოველთვის მისაბაძი მაგალითი და სანიშნუი პედაგოგია. ბატონი ვლადიმერი ქველმოქმედების საუცხოო ნიჭითაც გამოირჩევა. ამადარმა მეცნიერმა მშობლიური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 2000 ერთეული სპეციალური სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურა. ასევე განსაკუთრებული მზრუნველობა და ადა-

მიანური სითბო გამოამჟღავნა ქარელის რაიონის სოფელ სამწვერისში ჩასახლებული თანასოფელი ხიხაძირელებისადმი, სადაც მან, პირადად ინიციატივით, საჩუქრად გააგზავნა 5000 ცალი (ნიგნი)-მხატვრული ლიტერატურა და ბიბლიოთეკისათვის საჭირო ინვენტარი. ბატონი ვლადიმერი დაჯილდოებულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო სიგელით ნარმატეული სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობისთვის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების დამსახურებული მოღვაწის ნოდებით.

ჰყავს მეუღლე – ქალბატონი მერი, შვილი – ელდარი, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული და შვილიშვილი... მათთან, მეგობრებთან, თავის სტრუქტურებთან და კოლეგებთან ერთად ეგებება ბატონი ვლადიმერი დაბადებიდან 70 წლის იუბილეს. ეგებება ახალგაზრდული შემართებით, თავისთვის ჩვეული თავმდაბლობით, უზარალოდ და შესიერებით, სითბოთი და სიყვარულით. ასე განვლო მან 70 წელი და ასე აპირებს ცხოვრებას შემდგომაც. ღმერთმა დაგლოცოთ ბატონო ვლადიმერ, ჯანმრთელად გამოყოფოთ, გახაროთ და გაბედნიეროთ!

**ონისა სურმანიძე**  
*მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი*

3637	5347	165
1567	3547	552
5437	1747	345



# პაპოსდილი

დავით მამულაძის საქველმოქმედო საზოგადოება „მომავლის“ თაოსნობით გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვანო პაპუნძის, მონოგრაფია „გზა მარადისობისაკენ. (რედაქტორები ოთარ გაგუა, რამაზ სურმაჩიძე).“ ნაშრომი ეძღვნება პარტიული მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვახტანგ პაპუნძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

თორმეტი წლის მანძილზე მეთაურობდა ვახტანგ პაპუნძი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, მაგრამ ის არ იყო საბჭოთა იმპერიის ხელდასმული ადმინისტრატორი, არამედ იყო ქართველი პატრიოტი, რომელსაც ძნელ პერიოდში მოუხდა ქართული ეროვნული ცხოვრების შენარჩუნებისა და თვითმყოფადობის დაცვისათვის ბრძოლა. როგორც მეცნიერმა, მან ადრე მიაგნო თავის მონოგრაფიას და იმ მცირე რიცხვში, რომლებიც ვახტანგ პაპუნძის ავტორის ნაშრომის განმარტების საქართველოში აგროეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებლების – გიორგი გეგეჭიანის, ივანე ჯავახიშვილის, პეტრე ჟღერდის, ნიკო იაშვილის და ნიკოლოზ ლაჭყეზიანის მიერ დაწყებული საქმე. პროფ. ვახტანგ პაპუნძის ფენომენზე დაკვირვება ცხადყოფს იმ ქვეყნის მდგომარეობას, რომ ისტორიული პიროვნება თავისი დროის ჩარჩოებში უნდა შეფასდეს და არ უნდა დაგვივინცდეს, რომ ისტორიული ხანა გამოირჩევა ასეთივე ისტორიული სპეციფიკური თვისებებით. დროის ცვალებადობასთან ერთად კვდება პოლიტიკა, მაგრამ მეცნიერება არა; კვდება იდეოლოგია, მაგრამ აკადემიზმი არა. ვახტანგ პაპუნძის ფენომენში მოიაზრება პოლიტიკა და მეცნიერება, მაგრამ სისტემის შეცვლასთან ერთად შეიცვალა პოლიტიკა, უკვადავია აკადემიური მეცნიერება. ვახტანგ პაპუნძის მეცნიერული გამოკვლევაბი დღესაც ტონს აძლევს დარგის განვითარებას. აქედან გამომდინარე პროფ. ვანო პაპუნძის წინაშე იდგა არაერთი რთული პრობლემა, რომელიც მკითხველს უნდა მიწოდებოდა ყველა ასპექტში გააზრებული და გადაწყვეტილი. სარეზერვო ნაშრომის ავტორი ვახტანგ პაპუნძის ოჯახის წევრია, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. ვანო პაპუნძი ნარმოვიდგინა პიროვნება ვახტანგ პაპუნძისა, რომელიც კარგი მაგალითია სამშობლოს სიკეთისათვის თავდაუზოოგავი სამსახურისა.

ვახტანგ პაპუნძი თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსით მდიდარი ცხოვრების გზა გონიერი კაცის ცხოვრების წესით განვლო. სოფლის სკოლაში გონიერი მოსწავლის სახელით სარგებლობდა. სწავლობდა ყველა სასკოლო საგანს და ამით მყარი

ზოგადი განათლება შეიძინა, რაც ესოდენ აუცილებელია მომავალში აკადემიური კარიერის გაგრძელებისათვის. შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და იქაც მალე დაიმკვიდრა გონიერი სტუდენტის რეპუტაცია.

სტუდენტ ვახტანგ პაპუნძის ლექტორი აკად. გიორგი გიგაური იგონებს, რომ ვახტანგი თავიდანვე გამოირჩეოდა როგორც წარჩინებული, ფრიადოსანი, სტუდენტი-ახალგაზრდობის ბევრი ნამოყვებისა თუ ღონისძიების აქტიური მონაწილე და ხშირად თაოსანიც. სწავლის მთელ პერიოდში სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობდა. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ვახტანგ პაპუნძი სწავლა განაგრძო ასპირანტურაში. ვახტანგმა, როგორც ასპირანტმა, გონიერად განვლო აკადემიური კარიერის ეს უმნიშვნელოვანესი მოწვევით და ასპირანტურის წლებში დაასრულა საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობა. 1969 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „უადრესად აქტუალურ პრობლემაზე „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია“ და ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერებს შორის ყველაზე ადრე მიანიჭა პროფესორის წოდება.

ვახტანგ პაპუნძის სამეცნიერო-კვლევითი შრომის შედეგებით დაინტერესდა საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა. საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მოგონებაში „მეგობრის ვახტანგმა“ წერს: „ვახტანგ პაპუნძის მეცნიერებათა აკადემიის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში. ვახტანგ პაპუნძის ასახელებდნენ ისეთ ცნობილ მეცნიერთა გვერდით, როგორიცაა გიორგი გეგეჭიანი, პეტრე ჟღერდი, ვანო ჯაშვილი, ნიკოლოზ იაშვილი, ლაჭყეზიანი და სხვები, რომლებმაც ახალ საფეხურზე აიყვანეს აგრო-ეკონომიკური მეცნიერება საქართველოში. ინტუიცია მკარანახობდა, რომ მისგან კარგი, პერსპექტიული პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელი უნდა ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ ჯერჯერობით მას ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობის გამოკლებდა არ გააჩნდა, მაგრამ გამოირჩევა კარგი ადამიანური თვისებებით, კომუნიკაბელობით“.

ვახტანგ პაპუნძის პარტიული მუშაობის კარიერა დაიწყო საქ. კ.პ. (ც.კ. სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილის პოსტიდან, ხოლო 1975 წელს აირჩიეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ისტორიაში პირველად მოვიდა მეცნიერებაში დანიშნული კაცი. ამასთან დაკავშირებით საქ. კ.პ. აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილი

პირველი მდივანი დავით მამულაძე 1975 წელს წერდა: „პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ვახტანგ პაპუნძი. მე მას ვიცნობ და შემძლია ვთქვა, რომ კეთილი, პატიოსანი, თავაზიანი და გონიერი ადამიანია. საქართველოს სამეცნიერო წრეებში იგი ერთ-ერთი მალალი კვალიფიკაციის მეცნიერ-ეკონომისტადაა აღიარებული. ცხოვრებამ მრავალჯერ დაადასტურა, რომ მართვა მეცნიერების გარეშე შეუძლებელია. დრო რთულ ამოცანებს უყენებს ყველა დონის ხელმძღვანელს“.

პროფ. ვანო პაპუნძის ნაშრომში წარმოდგენილი მასალები მკითხველს არმშენებენ, რომ ვახტანგ პაპუნძი ცხოვრების ცოდნით ხელმძღვანელობდა ავტონომიურ რესპუბლიკას. მისი ინტერესების არეალში პირველ ადგილზე მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება იყო. სწორედ სწავლული აგროიკონომის პროფესორულ ალღოს უნდა ეკარნახებინა ხელმძღვანელის ყურადღების გამახვილება იმ ანომალურ მოვლენაზე, როგორცაა გლეხი პირუტყვის გარეშე. 1983 წლის მონაცემებით ავტონომიური რესპუბლიკის სოფლად მცხოვრები ოჯახების 24,3%-ს საერთოდ არ ჰყავდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ვახტანგ პაპუნძის ხელმძღვანელობით ეს პრობლემა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტეს კოოპერირების გზით.

მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის ფართო თვალსაზრისში მეთვალყურის ვახტანგ პაპუნძის ნაშრომი „აჭარის ასსრ რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეთა გათანაბრების პრობლემა“. ამ ნაშრომში ჩვენს ყურადღებას იქცევს ფაქტებისა და მოვლენების მეცნიერული და პოლიტიკური შეფასების რეალიზმი. პროფ. ვახტანგ პაპუნძის მიერ საკითხისადმი მიდგომის მეთოდოლოგია დღესაც ძალაშია. მხედველობაში გვაქვს სიძნელები, რომელიც გამოწვეულია აჭარის მცირე მნიშვნობითა და ჭარბმოსახლეობით პროფ. ვახტანგ პაპუნძის რეკომენდაციებით ამ პრობლემის ნაწილობრივ დაძლევა შესაძლებელია ინტენსიური ფაქტორების მიზანმიმართული გამოყენებით. ეს ძალზე რთული პრობლემაა და ჩვენს წერილში მთელი სისრულით მისი გადმოცემა შეუძლებელია. ჩვენს დღევანდელ ტკივილებს ეხმიანება ვახტანგ პაპუნძის დასკვნები აჭარის მალაქიანი სოფლებში კვალიფიკაციური კადრების დეფიციტის გამომწვევი მიზეზების შესახებ. ვრცელი ანალიტიკური მსჯელობის შემდეგ პროფ. ვახტანგ პაპუნძი დაასკვნა, რომ მალაქიანი რაიონებს ესაჭიროებათ ადგილობრივი მკვიდრი სპეცი-

ალისტები. ამ პრობლემის სიმწვავეს მალე იგრძნობს თანამედროვე აჭარის სოფლის სკოლები თუ მიზანდასახულად არ მომზადდა კვალიფიკაციური კადრები მალაქიანი რაიონებისათვის. დღეს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განთლების სპეციალისტის ზოგიერთი კურსზე ხულოს რაიონის არც ერთი მკვიდრი სტუდენტი არ ირიცხება. ვინ შეავსებს ხუთი წლის შემდეგ პენსიაზე გასულ პედაგოგთა რიგებს?

წინის მნიშვნელოვანი ნაწილს შეადგენს მოგონებები ვახტანგ პაპუნძის შესახებ. ყურადღება მიიქცია მოგონებამ ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბების შესახებ. საუნივერსიტეტო ქალაქად ბათუმის გადაქცევის იდეა ეკუთვნის აკად. ივანე ჯავახიშვილს, ხოლო ამ იდეის პრაქტიკულად განხორციელებას დიდი შრომა და ენერჯია მოახმარა პროფ. ნადიმ ნიჟარაძემ, მაგრამ 1990 წლამდე ეს საკითხი არ გადაწყდა. ცნობილი გახდა, რომ 80-იანი წლების დასაწყისში საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, ვახტანგ პაპუნძის ხელმძღვანელობით ინტენსიურად მიმდინარეობდა ბათუმში უნივერსიტეტის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა. ამის შესახებ საგულისხმო ცნობას გვაწვდის ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, საჰაერო ხომალდ „მიგ“-ის გენერალური კონსტრუქტორი, აკად. რ.ა.ბელიაკოვი. რ.ა.ბელიაკოვის ბათუმელ ამომჩველებთან შეხვედრის დროს ბატონმა ვახტანგ პაპუნძი დააყენა საკითხი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე უნივერსიტეტის ჩამოყალიბების შესახებ. შედგა დოკუმენტაცია და დაეპუტატა რ. ა. ბელიაკოვმა იგი წარუდგინა სსრკ უმაღლესი განათლების მინისტრის ელიუტინს და მიიღო მისგან თანხმობა, ოღონდ ბათუმში უნდა გახსნილიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი. ცხადია, ეს იყო წინგადდგმული ნაბიჯი, მაგრამ არა საკითხის სასურველ დონეზე გადაწყვიტა. მაშინ სხვა სტრატეგია იქნა შემუშავებული, მაგრამ ვახტანგ პაპუნძი ამ დროს უკვე იყო საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და ხელი არ მიუწვდებოდა დასახული მიზნის განხორციელებაზე.

პროფ. ვანო პაპუნძის ნაშრომი „გზა მარადისობისაკენ“ დაწერილია გამართული სალიტერატურო ვნით, იკითხება ინტერესით და მკითხველს ამდიდრებს ცოდნით ჩვენი უახლესი ისტორიის ბევრ საკითხზე.

### იური გიგილიაშვილი




## სამეცნიერო ნიშნები

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვაჟა შუბითიდის წიგნი „სომხური „იმპერია(ლიზმი)“ და კოლონიალიზმი“. ნაშრომის დასაწყისში ავტორი საუბრობს ქართულ-სომხური კეთილმოზობლივი ურთიერთობის აუცილებლობაზე და მოჰყავს სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის ტერ-პეტროსიანის მართლაც საგულისხმო სიტყვები: „დაძვინისაქველეთ საქართველოს მსგავსი ქვეყანა, სადაც სომხურ თემს ჰქონდეს ორასზე მეტი სომხური სკოლა, რომელსაც ამერიკისა და სხვა ქვეყნების განხვავებით საქართველოს ბიუჯეტი აფინანსებს. და კიდევ ეკლესიები, თეატრი, გაზეთი, ჰყავდეს დეპუტატები, მინისტრები და გამგებლები. ასეთი ქვეყანა არ არსებობს. ნებისმიერი სომეხი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგია, უწინარეს ყოვლის არის არა ქართველთა არამედ სომეხთა მტერი“. სომეხთა პრეზიდენტის ამ გონიერ გამოხატვაში ნესით საქმიანი შედეგი უნდა მოჰყვეს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სიტყვა ერთია და საქმე მეორე. სიტყვა ქერქია, საქმე კი გული. აღნიშნულ წიგნში მკითხველი გაეცნობა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოსთან ურთიერთობაში მათ მიერ გატარებულ საგარეო-პოლიტიკური ავანტიურის, ტერიტორიული პრეტენზიების, გაუაზრებელი სამხედრო-დებოლომატიური ქმედებების ფაქტებსა და მოვლენებს. ავტორი აღნიშნავს, რომ ანტროპოლოგიური თვალსაზრისით ისინი ბრაჰმციფეალები არიან (ბრტყელთავიანები) და ძალიან ჰგავენ სირო-ქალდეელებს. ნაშრომში ავტორმა გვერდ ვერ აუარა ქართულ-სომხურ ურთიერთობაში უკვე ტრადიციულად ჩამოყალიბებული შედარების მეთოდი. სომეხთა გვერდით ქართველი ქალები აღიარა როგორც საუკეთესო, იდეალური, მიუღწეველი ჯიშის წარმომადგენლები და ქართველები ანტროპოლოგიის კლასიფიკაციაში პირველ რიგში დაასახელა. ნაშრომში მკითხველი ბევრ საინტერესო მნიშვნელოვან ფაქტსა და მოვლენას გაეცნობა საქართველო-სომხეთის ურთიერთობათა ისტორიიდან, რაც სამომავლოდ პოლიტიკოსებისთვის გასაფრთხილებელიცაა.

## სამეცნიერო ჟიჰნალი

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის მიერ გამოცემული საუნივერსიტეტო საშრომის სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ბიზნესი და მენეჯმენტი N2“. სამეცნიერო ჟურნალი რეფერირებადი და რეცენზირებადია. ჟურნალის მთავარი რედაქტორია პროფესორი როსტომ ბერიძე. ჟურნალში წარმოდგენილი სტატიები ძირითადად ეხება ეკონომიკის, საერთაშორისო ბიზნეს-გარემოს, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ტურიზმის, ფინანსების აქტუალურ საკითხებს. აღნიშნულ კრებულში სხვა სტატიებთან ერთად ჩვენს ყურადღება მიიპყრო გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების ნინო ლიპარელიანის და ნანა ახალაიას სტატიამ „კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვა-განვითარება ბათუმში“. სტატიაში წარმოდგენილია ამ პერიოდში ბათუმში არსებული სანარმო თუ სავაჭრო საზოგადოების მიერ წარმოებული პროდუქციის სტატისტიკური მაჩვენებლები, მაგრამ არ არის მასზე მითითებული გამოყენებული წყარო, რაც საეჭვო ხდის მის პირველადობას. მათ მიერ გამოყენებული ლიტერატურის სიაში მინიშნე-




ბულნი არ არიან ამ პრობლემაზე მომუშავე ბათუმელი ისტორიკოსები, რომელთაც ამ საკითხზე ფუნდამენტური ნაშრომები შექმნეს. სამეცნიერო ჟურნალში მკითხველი ბევრ საინტერესო სტატიას წაიკითხავს.



### შავშეთი


მონოგრაფიაში შესწავლილია ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთი „ქვეყანა“- შავშეთი. სავსე ექვეყნების დროს შეკრებილ მასალებზე, ისტორიულ და სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით ავტორები ცდილობენ შექმნან შავშეთის ერთიანი სურათი, კერძოდ, ნაშრომში პირველად შესწავლილი შავშეთის ისტორია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ეთნოლოგიური ყოფა, ფოლკლორი, ტოპონიმია, შავშეთი დიალექტი... ნიგნს ერთვის ფოტომასალა, შავშეთის რუკა და დიალექტური და ფოლკლორული მასალები ლექსიკონითურთ.

მონოგრაფია პირველი ცდაა შავშეთის კომპლექსური შესწავლისა. ვფიქრობთ, იგი კარგ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, ენათმეცნიერებს, ეთნოლოგებს, ფოლკლორისტებს და ისტორიული სამხრეთ საქართველოთი დაინტერესებულ მკითხველებს.



1956 წლის 9 მარტის ტრაგიკულ დღეებს ეძღვნება პროფესორ იური ბიბილიევიშვილის მემორიული ხასიათის ბროშურა „საქართველოსათვის“. ბატონი იური იმ ძნელად დასავიწყებელ დღეების უშუალო მონაწილე გახლდათ. მისთვის დღესაც მოუშუშებელია იმ დროს მიყენებული ჭრილობა. საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა მიერ ირონიულად, ცუდ კონტექსტში სტალინისა და საქართველოს მოხსენიებას მოჰყვა გამოსვლები თბილისსა და ბათუმში. ბათუმში სტუდენტურ გამოსვლებს მოჰყვა დაპატიმრებები. ბატონი იური ორი წლით გადაასახლეს მორღვეთში. სასჯელი უფრო მკაცრი იქნებოდა, რომ არა დავით მამულაძე, რომელსაც დისიდენტი დიდად ემადლიერება. მემორიები იმდენად გულწრფელია, რომ მისი წაკითხვისას გრჩება შთაბეჭდილება, რომ თითქოს 1956წ. 9 მარტის მიტინგიდან გამომდინარე ინტერვიუს ისმენ. ბატონმა იურიმ ყოველგვარი შელამაზების გარეშე ჩვენს ცნობიერებაში ის ავად მოსაგონარი დღეები გააცოცხლა.


უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მიიღო „ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის დოქტორის ოლეგ ჯიბაშვილის მონოგრაფია „რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წწ. ომი და სამხრეთ საქართველო“. ახალგაზრდა მეცნიერი საარქივო დოკუმენტების და დამონებული ისტორიული ლიტერატურის საფუძველზე აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნებს, რაც უდავოდ დაინტერესებს საქართველო რუსეთის ურთიერთობათა პრობლემებზე მომუშავე მკვლევარებს. მონოგრაფიის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ 1768-1774წწ. რუსეთ-თურქეთის ომმა მსოფლიოს მთელი სიცხადით დაანახა ოსმალეთის სისუსტე და შინაგანი რღვევა. უნდა ითქვას, რომ ამ ომის შედეგად 1774 წლიდან (ქუჩუკ-კაინარჯის ზავი) 1783 წლამდე (გიორგიევსკის ტრაქტატამდე) საქართველო 9 წელი იყო დე-იურე დამოუკიდებელი. გენერალ ტოტლებენის მარცხს საქართველოში თვით რუსებიც აღიარებდნენ. ამ პერიოდში საქართველოში მოღვაწე იაზიკოვი პანინს აცნობებდა, რომ ტოტლებენმა რუსეთს საქართველოში სამარცხვინო სახელის მეტი არაფერი არ მოუტანია. მართალია მკვლევარის შესასწავლ საკითხს არ წარმოადგენდა ამ პერიოდში ბათუმში მიმდინარე საზოგადოებრივ პოლიტიკური პროცესები, მაგრამ სასურველი იყო ორი-ოდე სიტყვით მაინც თქმულიყო ბათუმის რეგიონის შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა კაპიტან ლვოვის შეტყობინება ანინისადმი, სადაც ნათქვამია, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან გურიასა და თურქეთ შორის მთებში დასახლებული აჭარლები თურქეთის ქვეშევრდომობას მთლიანად განუდგა, ისე, რომ როდესაც ახალციხის ფაშა მათ დასაწყნარებლად თურქეთის ჯარით აჭარაში შევიდა, ამ ხალხმა ფაშა დაამარცხა და აჭარიდან განდევნა. ნაშრომში ახლებურად არის დანახული და შეფასებული ამ პერიოდის პრობლემური საკითხები, რასაც იმედია მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა.



### პროფ. ვლადიმერ მახარაძე „ფარმაცია“

საგამომცემლო სახლმა „ინოვაცია“, დაბეჭდა საქართველოში პირველი ფარმაცევტული კომპანიის „ჭეკატე“, დამარსებლის, პროფესორ ვლადიმერ მახარაძის მორიგი მეოთხე ნიგნი „ფარმაცია“. ნიგნში ფარმაციის დარგში მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე შესწავლილია ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის და მართვის, ბიზნეს-ადმინისტრირების, ფარმაცევტული კანონმდებლობის, ტერმინოლოგიის, ერთიანი სიმბოლოების, სააფთაქო კოსმეტიკის, რაციონალური ფარმაცოთერაპიის, აჭარაში ფარმაცევტული მრეწველობის განვითარების და სხვა მნიშვნელოვანი აქტუალური საკითხები.

ნაშრომში მკითხველი ბევრ საინტერესო მასალას გაეცნობა სახალისო ფარმაციის სამყაროდან. ასევე მასში წარმოდგენილია სამედიცინო-პროფილაქტიკური დანიშნულების, წამლის მოხმარების და მისი ფალსიფიცირების თავიდან აცილების, ფარმაცევტული საქმიანობის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები.



### წიგნის პრეზენტაცია

2011 წლის 18 მარტს შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში მოეწყო ახალ გამოცემული ნიგნის „ბრძოლა ბათუმისთვის 1921 წლის 18-20 მარტი“, პრეზენტაცია. შეკრებილ საზოგადოებას ნიგნის ავტორები წარუდგინა უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ. პრეზენტაციას ესწრებოდნენ თბილისიდან ჩამოსული პროფესორები ოთარ ჯანელიძე და მალხაზ მაცაბერიძე. ჭეშმარიტად კარგი საქმე გაკეთდა. დღეს ხშირად სატელევიზიო გადაცემებში თუ კერძო საუბრებში გაიგონებთ ამ პერიოდში ბათუმში მიმდინარე მოვლენების არასწორ, არაობიექტურ შეფასებას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ბათუმის უახლესი ისტორიის საკითხებით ნაკლებადაა ინფორმირებული. აუცილებელია ბათუმის უახლესი ისტორიის საკითხებს პრესითა თუ ტელევიზიით გაეწიოს პოპულარიზაცია. ბათუმელი და თბილისელი მეცნიერების მიერ შესრულებული ერთობლივი სამეცნიერო პროექტის კრებული მდიდარ წყაროთმცოდნეობით მასალას ეყრდნობა და ბევრ სიახლეს მოიცავს. აღნიშნული ნიგნი იდეალურად დაინტერესებულ მკითხველს.

დაიბეჭდა პროფესორ ვახტანგ გურულის მორიგი ნიგნი „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 1483-1921 წწ.“, უკვე დიდი ხანია პროფესორი ვახტანგ გურული ნაყოფიერად იკვლევს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პრობლემებს, რასაც მან არაერთი ნიგნი უძღვნა. ახალგაშთაგამოცემულ ნაშრომში რუსეთი წარმოჩენილია როგორც საქართველოს დამპყრობელი. ბატონ ვახტანგს მრავალი ისტორიული ფაქტი და მოვლენა ახლებურად აქვს გაშუქებული. იგი უარყოფითად აფასებს ერეკლე მეორეს პრორუსულ ორიენტაციას და აღნიშნავს, რომ მან პრაქტიკულად უარი თქვა პროირანულ და პრორუსულ ორიენტაციებს შორის ლავირებაზე და ქართლ-კახეთის ხსნა მხოლოდ პრორუსულ ორიენტაციას დაუკავშირა. უნდა ითქვას, რომ მეფე ერეკლე დიდი ხნის განმავლობაში მიმართავდა მანევრირების პოლიტიკას და ენოდა ორმაგ დიპლომატიურ თამაშს. მან ამ მიზეზის გამო იმერეთის შემოერთებაზე კი უარი განაცხადა, მაგრამ როცა ქვეყანა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგა, მაშინ იგი იძულებული გახდა გადაეღვა პრაქტიკული ნაბიჯი რუსეთისკენ. 1794 წლის შემდეგ საქართველოში დიდი ომიანობა შეჩერდა. რასაკვირველია მაშინ უკვე მოხუცებულმა ერეკლე მეორემ წინასწარ ვერ გაითვალისწინა, რომ სიკვდილის შემდეგ მისი შვილების არასწორ ქმედებებს მოჰყვებოდა მეფობის გაუქმება საქართველოში. მართალია მან ვერ შეძლო მტერი მტრის ხელით გაენადგურებინა, მაგრამ სამი საშიში მტრიდან ერთი აირჩია და ამით საქართველო გადაარჩინა ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებას. ბატონი ვახტანგი ნაშრომში აღნიშნავს კიდევაც, რომ იმხანად ტრაქტატის არშესრულების გადაწყვეტილება სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენდა და მისი ამოცნობა ქართველი დიპლომატებისათვის ძალზე ძნელი და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს მტერთან არაერთი მფარველობითი ხელშეკრულება დაუდია და მას დადებითი შედეგები მოჰყოლია. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილ დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობისთვის.



**კრძალვები:**  
იოსებ სანიკიძე  
საუნივერსიტეტო  
ნაწილი გამომცემი



**სარედაქციო კოლაბია:**  
იური ბიბილიევიშვილი  
პროფ. დინასიძე  
ამილი ფალავა  
ნანა ცხატარია  
მერაბ მებრედიანი

**გაზეთი დაიბეჭდა**  
შპს „პრაპრინტში“  
(832) 93-46-14, 99-98-82  
მის: ქ.თბილისი  
რუსთაველის 40-40ა